დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა მონიავა

წევრები:

ნინო ბეგაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ვლადიმერ ბერუაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნატო კვეტენაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ინგა გოგალაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ლელა კაკაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნანი სალია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ლილი კაცაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ნინო ვაშალომიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
მადონა ბობოხიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**230867167**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი ენაგეთი**
იურიდიული მისამართი	**თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი ენაგეთი**
ფაქტობრივი მისამართი	**თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი ენაგეთი**
საფოსტო ინდექსი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**enagetiskola@gmail.com**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**591 05 87 55**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 6 23 0000867717, 12/07/2023წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 24 და 25 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	თეთრიწყარო სოფელი ენაგეთი

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	თეთრიწყარო სოფელი ენაგეთი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3	☐ შეესაბამება

პროცესების მართვა	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **----60----------**	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურ* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.3.1.1.	*სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;*	*სკოლამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორ საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას (პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ შეათანხმოს უფლებამოსილ ორგანოსთან საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორ საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას (პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ მოიპოვოს აკრედიტებული ორგანოს მიერ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.*
ინდიკატორიN3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობ შესაბამისი საქმისწარმოების წესი;*	*სკოლამ საქმისწარმოების წესი შეიმუშაოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.*

ინდიკატორიN3.6.3.1.	*სკოლა ახორციელებს საზოგადოებ ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალურ ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;*	*სკოლამ ვებ-გვერდზე განათავსოს სრულყოფილა ინფორმაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრუ ვადებში.*
ინდიკატორი N3.6.3.5.	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერ შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახ მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურ პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებ ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელ კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელ დოკუმენტი), სასწავლო პროცესთ დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებ მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისებ გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსურ მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგ და საკონტაქტო ინფორმაცია.*	*რეკომენდაცია:* *სკოლამ ვებ-გვერდზე განათავსოს სრულყოფილად ინფორმაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....	*ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*სკოლამ ვერიფიკაციის მექანიზმი შეიმუშაოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.*

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*სკოლამ ვერიფიკაციის მექანიზმი შეიმუშაოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.2.	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალ მართვის პოლიტიკა;*	*სკოლის მიერ შემუშავებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებშ პრევენციის მიზნით კარგი იქნება გაწერილი იყოს, რა დამატებითი ფუნქციისშესრულება შეიძლება მოუწიოს.*
ინდიკატორი N3.1.2.5.	*პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;*	*სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის მართვის პოლიტიკა ცალკე დოკუმენტად, რაც დაეხმარება მათ პერსონალის მართვის მიდგომების გააზრებაში და ეფექტიანად მართვაში.*
ინდიკატორი N3.2.1.4	*სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;*	*სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი ცალკე დოკუმენტად ან ადამიანური*

		რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავების დროს გაითვალისწინოს და გაწეროს აღნიშნული საკითხი.
ინდიკატორი N3.3.1.3.	*სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;*	*სასურველია სკოლამ ცალკე დოკუმენტად შეიმუშავოს გასაჩივრების წესი.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სასურველია სკოლამ საშტატო განრიგით განსაზღვროს 1 ექიმი, ნაცვლად ექთნისა.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***რჩევა***
ინდიკატორი N. 2.1.2.1	*დაწყებითი საფეხური* *საბაზო საფეხური*	*სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში მასწავლებლებმა ასახონ წინა სასწავლო წლის გამოცდილება, კერძოდ კურიკულუმებში ასახონ წავლა–სწავლების პროცესში მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც აჩვენებს მოსწავლეთა განვითარების გზას.*

ინდიკატორი N. 2.1.2.2	*დაწყებითი საფეხური* *საბაზო საფეხური*	*საგნობრივ კურიკულუმებში („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“) უნდა ასახონ მათ მიერ განხორციელებული ისეთი კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენებს ახალ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს.*
ინდიკატორი N. 2.1.2.4	*დაწყებითი საფეხური* *საბაზო საფეხური*	*სასურველია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში დაიგეგმოს და ჩატარდეს შეფასების სისტემის შესახებ ტრეინინგი, ვებინარი ან სხვა აქტივობა .*
ინდიკატორი N.2.2.2.1	*დაწყებითი საფეხური* *საბაზო საფეხური*	*საგნობრივ კურიკულუმებში ასევე ასახონ სავალდებულო თემის შესაბამისი საკითხის ქვესაკითხები, დააზუსტონ კონტექსტ-მაგალითები და მიუთითონ მაგალითები შედარებისათვის.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დასკვნის პროექტის მომზადების პროცესში დაფიქსირებული იყო 16 ხარვეზი I, II და III სტანდარტში. სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა რის საფუძველზეც დასკვნაში შევიდა ცვლილებები.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისია, რომელიც გაცხადებულია 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში(დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომა N7, 07.09.2022). სკოლას არ აქვს შემუშავებული ხედვა და ღირებულებები.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა მტკიცებულება მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების. სკოლის ვებ-გვერდზე წარმოდგენილია მისია, ხედვა, ღირებულებები, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
   სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა ხელს შეუწყობს საკუთარი როლის განსაზრვრას სასკოლო საზოგადოებისათვის ისეთი სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებას, რომელიც პიროვნულ განვიტარებას შეუწყობს ხელს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
   სკოლა შემუშავებული აქვს სკოლის მისია რომელიც გაცხადებულია 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში განხილულია და შეთანხმებულია სამურვეო საბჭოს მიერ (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3 07.09.2022) განხილულია და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (პედაგოგიური საბჭოს სხდომა N7, 07.09.2022).
   სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დანართებად წარმოადგინა ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის (ბრძანება N36; 09/08/2023), სამუშაო ჯგუფის (ოქმი N1; 01/09/2023), სამეურვეო(ოქმი N6; 06/09/2023) და პედაგოგიური საბჭოს(ოქმი N5; 07/09/2023) სხდომის ოქმები, რომელშიც განხილული და შეთანხმებული იყო აღნიშნული საკითხი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
   სკოლის მიერ შემუშავებული მისია შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, განხილულია და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ.
   სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დანართებად წარმოადგინა სამეურვეო(ოქმი N6; 06/09/2023) და პედაგოგიური საბჭოს(ოქმი N5; 07/09/2023) სხდომის ოქმები, რომელშიც განხილული და შეთანხმებული იყო აღნიშნული საკითხი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
   სკოლის ფოიეში, პირველ სართულზე, გამოკრულია სკოლის მისია. სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე.
   https://skolebi.emis.ge/schools/2154?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%97%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%92%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.
   სკოლის სახელწოდება განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 ბრძანებით: **სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლა.**

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N7, 07.09.2022.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
   სკოლას შემუშავებული აქვს და 2023 წლის 25 აგვისტოს ბრძანება N41-ით დამტკიცებული აქვს სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. დოკუმენტი განსაზღვრავს მმართველობითი პროცესის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და ჩართულ მხარეებს, ასევე დოკუმენტების განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს, ანგარიშების მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
   სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის დანართებად წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, სამუშაო ჯგუფის, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები. სკოლის საიტზე გავეცანით შემუშავებულ შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
   სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სკოლას არ აქვს შემუშავებული.
   სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის დანართებად წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, სამუშაო ჯგუფის, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები. სკოლის საიტზე გავეცანით შემუშავებულ შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმასა და ერთწლიან სამოქმედო გეგმას, რომელიც ეფუძნება შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმას.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.
   სკოლას არ აქვს შემუშავებული 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედოო გეგმა. თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაშიც არ არის გათვალისწინებული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, შესაბამისი რესურსები.
   სკოლის მიერ შემუშავებულ 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია შესრულების გაზომვადი ინდიკატორებიც და შესაბამისი რესურსი.
   ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანებაN41, 25/08/2023);
- 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
   სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს შესრულების მონიტორინგსა და შეფასების მექანიზმებს. შესრულების მონიტორინგის განხორციელება მოიაზრება დაკვირვებითა და შეფასებით, რამდენად მიღწეული იყო დასახული მიზნები და ეფექტური იყო თუ არა შერჩეული სტრატეგია. მონიტორინგისთვის გათვალისწინებულია ანგარიშის წარმოდგენის მეთოდი ყოველი წლის ბოლოს პასუხისმგებელი პირების მიერ. დოკუმენტში დანართის სახით წარმოდგენილია ცხრილი, რომელიც უნდა შეივსოს ანგარიშის საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ, რის შედეგადაც გათვალისწინებულია განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
   სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია დამტკიცებულია 2023 წლის 25 აგვისტოს, აქედან გამომდინარე ვერ განისაზღვრება შესაბამისობა მეთოდოლოგიასა და განხორციელებულ მონიტორინგს შორის.

თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილია ანგარიში 2022 წლის ფინანსური და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც 10 დეკემბერს სკოლის დირექტორის მიერ იყო წარდგენილი სამეურვეო საბჭოს წინაშე. აღსანიშნავია, რომ სკოლა ვერ წარმოადგინა ვერც სტრატეგიული გეგმის და ვერც ერთწლიანი 2022-2023 სასწავლო წლის ანგარიში. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით აპირებენ სამუშაოების დაგეგმვასა და განხორციელებას.
პირველადი ავტორიზაციისას არ ფასდება.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
   რადგან სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვიტარების გეგმა შესაბამისად ვერ ექნება ანგარიშიც. თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი ანგარიში 2022 წლის ფინანსური და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც 10 დეკემბერს სკოლის დირექტორის მიერ იყო წარდგენილი სამეურვეო საბჭოს წინაშე, როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება ზეპირი საუბრებით უზრუნველყოფენ საჯაროობას.
   პირველადი ავტორიზაციისას არ ფასდება.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, სკოლაში 2023 წლის 9 აგვისტოს ბრძანებით შექმნილია სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფი, რომელიც სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმის და ერთწლიანი სამოწმედო გეგმის შემუშავების დროს გაითვალისწინებს 2022-2023 სასწავლო წლის გეგმის შესრულების ანგარიშს, რისთვისაც უპირველესად 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში მომზადდება.
   პირველადი ავტორიზაციისას არ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N36 09/08/2023 სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
   სკოლას ჰყავს დირექცია, ადმინისტრაცია, პედსაბჭო, ტექნიკური პერსონალი, უსაფრთხოების პასუხისმგებელი პირი, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, თვითმართველობა, კათედრები და მრჩეველთა საბჭო. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის გადანაწილებული ფუნქციები.
   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის, ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებები. ასვე თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელშიც ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ შემუშავებული დებულებების შესაბამისად. მათი თითოეული თანამშრომლის ვალდებულებები, ფუნქციები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

   სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების მკაფიოდ გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს პროცესების ადმინისტრირებას. სკოლა იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპებს. ავტორიზაციის ვიზიტის პროცესში თანამშრომლები წარმოადგენდნენ არსებულ მოთხოვნილ დოკუმენტაციას და ექსპერტებს გვაძლევდნენ კითხვის შესაბამის პასუხებს. სასკოლო საზოგადოების წევრები იაზრებდნენ ფუნქციებს სკოლის მთლიანი საგანმანათლებლო საქმიანობის კონტექსტში.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება(2022წ) ;
- ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (ბრძანება N90, 27/05/2020);
- თანამდებობრივი ინსტრუქციები(ბრძანება N38, 25/08/2023);
- შრომითი ხელშეკრულებები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

   სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორი. სკოლა ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით, სადაც გაწერილია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დრო, მისი აღრიცხვა, სამუშაოზე გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევებზე გათვალისწინებული პასუხისმგებლობის, თანამშრომელთა წახალისების, შრომის პირობების დაცვისა და უსაფრთხოების წესები. მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების სახეები და მათთვის გათვალისწინებული სახდელები, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები და წესი. შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია შინაგანაწესთან და კანონმდებლობით დადგენილი წესით ხდება მასში ცვლილების შეტანა და გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებების აღრიცხვა ხდება ტაბელით.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
   სკოლას შემუშავებული აქვს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი. პერსონალის მოზიდვა ხდება საჭიროებებიდან გამომდინარე, კონკურსის საფუძველზე, რის შემდეგაც თითოეულთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დახმარებით სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი პროცესები, სკოლა ხელს უწყობს პედაგოგებს განვითარებასა და სტატუსის ამაღლებაში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
   რჩევა:

სკოლის მიერ შემუშავებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში, პრევენციის მიზნით კარგი იქნება გაწერილი იყოს, რა დამამტებითი ფუნქცია შესრულება შეიძლება მოუწიოს.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
   სკოლაში მასწავლებელთა შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კონკურსი ცხადდება ღიად და გამჭვირვალედ. თუ სკოლას არ ჰყავს შიდა კადრი ამ შემთხვევაში ცხადდება ღია კონკურსი წესების და ვადების შესაბამისად. დირექტორი განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ქმნის საკონკურსო კომისიას განცხადება განთავსდება www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე. საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებულია კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს კონკრეტული საკონკურსო კომისია, რაც ასახული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში. თანამშრომლის შერჩევის შემდეგ სკოლა აფორმებს ხელშეკრულებებს და ქმნის თანამშრომელთა პირად საქმეებს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
   სკოლაში მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და სკოლის მიერ კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლა უზრუნველყოფს შერჩეული პირების პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასახული მტკიცებულებების არსებობას. სკოლაში დასაქმებულია 12 მასწავლებლი, 12-ივე უფროსია. სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
   სკოლას არ არ აქვს დოკუმენტის სახით შემუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკა. თუმცა დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ყველა მასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობს. თანამშრომლობა ხდება, როგორც კათედრის დონეზე, ასევე კონკრეტული კლასის მასწავლებლების. რადგან სკოლა მცირერიცხოვანია,

მასწავლებელებლები კარგად იცნობენ თითოეულ მოსწავლეს, არ უჭირთ მათი საჭიროებების დადგენა და პრობლემის გადაჭრაზე ერთობლივად ზრუნვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რჩევა:

სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რაც დაეხმარება მათ პერონალის მართვის მიდგომების გააზრებაში და ეფექტიანად მართვაში.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მასწავლებლები ხშირად წარმოადგენენ საკუთარი გამოცდილებას სამუშაო შეხვედრების დროს. საკუთარი მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრების წარდეგნის, პრეზენტაციის გამოფენის შედეგად ყოველთვის აკეთებენ ანალიზს და აღნიშნავენ ძლიერ და სუსტ მხარეებს. სკოლის დირექციას აქვს სიგელის გადაცემის, მადლობის გამოცხადების გამოცდილება.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- https://teacherjobs.ge/?position=&subject=&class=&school=230867167&district=
- თანამდებობრივი ინსტრუქციები (ბრძანება N38, 25/08/2023);
- შრომითი ხელსეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
   სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი (ბრძანება N89, 26/11/2020), რომლის წევრებიც ეხმარებიან კოლეგებს საჭიროების დადგენაში, წინსვლასა და განვითარებაში. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, ესწრებიან გაკვეთილებზე. ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას ტრენინგებისა და კონფერენციების შესახებ. მონაწილეობენ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ სავალდებულო ტრენინგებში (უფროსი მასწავლებლებისათვის სავალდებულო 20 სთ.). დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ესწრებიან მასტერკლასებს, ბოლო მასტერ კლასი „სწავლების მენეჯმენტი“ იყო, ასევე „ქი ქონსალთინგის“ მიერ ორგანიზებული .
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლების მიერ კეთდება თვითშეფასება, რის საფუძველზეც თითოეული მათგანი ადგენს განვითარების გეგმას. ასევე სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის გაკვეთილებზე დასწრების განრიგი (პირველ სემესტრში გათვალისწინებული იყო ერთ, ხოლო მეორეში ორ გაკვეთილზე დასწრება).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

   სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაში ხელშეწყობას. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ. უზრუნველყოფს პერსონალის ინფორმირებას არსებული პროფესიული განვითარების ტრენინგების, კონფერენციების, პროექტების, საპილოტე პროგრამების, კარიერული წინსვლის აქტივობების შესახებ, რაც ხელს უწყობს, მასწავლებელთა/თანამშრომელთა პროფესიული ზრდის უწყვეტობას, სტატუსის ამაღლებას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ახალი თანამშრომლები ეცნობიან სკოლაში დამკვიდრებულ წესებს, რაც უმარტივებს სასკოლო გარემოსთან შეგუების პროცესს. აღნიშნულ პროცესებში განსაკუთრებული როლი აქვთ სკოლის დირექციას, კათედრებსა და პედაგოგიურ საბჭოს. ხდება მათი წარდგენა სასკოლო საზოგადოების წინაშე (პედსაბჭო, მოსწავლეების, მშობლების).

   სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელშიც გაწერილია სკოლის მხრიდან შესაბამისი ვალდებულებები, რომელიც პუნქტ 3.1-შია გაწერილია (სკოლა ვალდებულია დასაქმებულს შეუქმნას მუშაობისათვის აუცილებელი პირობები და უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო გარემოთი), რაც ადასტურებს ინდიკატორთან შესაბამისობას.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

   რჩევა:

   სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი ცალკე დოკუმენტად ან ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავების დროს გაითვალისწინოს და გაწეროს აღნიშნული საკითხი.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების რეალიზებაში. ამისათვის სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებითა და სათანადო პირობებით. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და ურთიერთთანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს სკოლის პერსონალის წახალისებასა და ინიციატივების განხორციელებას.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი (ბრძანება N89, 26/11/2020);
- 2022-2023 სასწავლო წლის გაკვეთილებზე დასწრების განრიგი;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
   სკოლას არ აქვს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს სკოლის დირექტორი აკეთებს ანგარიშს და შემდეგი წლის გეგმა დგება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.
   სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება 2023 წლის 30 მარტის ჩათვლით.
   ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.
   რეკომენდაცია:
   სკოლამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
   სკოლაში შექმნილია მართვის ერთიანი სისტემა. ფუნქციონირებს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით ხელს უწყობენ სკოლაში შექმნილი მართვის ერთიანი სისტემის დამკვიდრებასა და განვითარებას. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული სტრუქტურული

ორგანო, რომელთა ერთობლივი მუშაობით, მათი კომპეტენციის ფარგლებში ხდება სასწავლო პროცესზე ზრუნვა და პროცესის წარმართვა შეუფერხებლად. სკოლას აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, თითოეული ორგანიზაციული სტრუქტურა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესის, კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ"საქართველოს კანონის, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ერთობლივი ძალისხმევით ხდება სკოლის მმართველობითი საქმიანობის წარმართვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. აღნიშნულის განხორციელების დროს სკოლა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება სკოლის შინაგანაწესს, სადაც დეტალურად არის აღწერილი სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები, დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების წესი/პირობები. ამასთანავე, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბერის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის" შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებს და ახდენს სათანადო რეაგირებას.
სკოლის შინაგანაწესში არის მუხლი 22. განცხადების განხილვისა და გასაჩივრების წესი. რომელიც გულისხმობს სკოლაში შესული განაცხადება/საჩივრის რეგისტრაციაში გატარების შესახებ და მათზე რეაგირება უნდა მოხდეს კანონმდებლობის შესაბამისად.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
რჩევა:
სასურველია სკოლამ ცალკე დოკუმენტად შეიმუშავოს გასაჩივრების წესი.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დისციპლინური კომიტეტის არჩევაზე;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

   სკოლის დირექციის, დამრიგებლების, მასწავლებლების მიერ სისტემატიურად ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლის სოციალური ქსელში ხდება სიახლეების განთავსება. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მშობლები იღებენ შვილის აკადემიური შედეგების, საგაკვეთილო

პროცესზე დასწრების შესახებ ინფორმაციას. მშობელთა კრებებზე ხდება რეკომენდაციების, შემოთავაზებების მიღება ვითარების გაუმჯობესების მიზნით. სკოლის ადმინისტრაცია იღებს უკუკავშირს, აანალიზებს და რეაგირების მიზნით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამეურვეო საბჭოს სხდომებზე წევრი მშობლები არიან ჩართული სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ განხილვაში. მათი მხრიდან მოცემული უკუკავშირი არის ორიენტირებული არსებული ვითარების გაუმჯობესებაზე.

მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სკოლის ვალდებულება მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

   სკოლაში მოქმედ კოლეგიურ ორგანოებში, სამეურვეო, პედაგოგიურ და მრჩეველთა საბჭოებში, ასევე დისციპლინურ კომიტეტში, გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში არიან მშობლები, მასწავლებლები. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მშობელი, მასწავლებელი. ისგ ჯგუფებში, ჩართულები არიან მშობელები. პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელია გაერთიანებული, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლისათვის მეტად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა და აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.
- დისციპლინარული კომისიის სხდომის ოქმი N1; 27.01.2023;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
   სკოლაში დასაქმებულია დარაჯი, დამლაგებელი, ექთანი, რომლებიც ზრუნავენ სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვაზე. სკოლას არ ჰყავს მანდატური თუმცა სკოლის თანამშრომელს 2019 წლის ოქტომბერში გავლილი აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საგანმანათლებლო დაწესებულების

მანდატურის სამსახურის მიერ უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი ტრენინგ-კურსი და მინიჭებული აქვს სერტიფიკატი N881/19. სკოლის დირექტორი აკონტროლებს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემას.

სკოლამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის შენობა ნაგებობის დეტალური სახანძრო ტექნიკური შემოწმების საფუძველზე შედგენილი N21 მიწერილობა. შესასრულებელი ღონისძიებების შესრულების ბოლო ვადა განსაზღვრულია 2023 წლის 30 ოქტომბრით. სკოლამ ასევე წარმოადგინა შესასრულებელი სამუშაოებისათვის აღჭურვილობის ბაზრის კვლევა(ინვოისები).

სკოლამ წარმოადგინა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N1480 (16/11/2020), მშენებლობადასრულებული საჯარო სკოლის ექსპლუატაციაში მიღების/ვარგისად აღიარების შესახებ.

სკოლამ ვერ წარმოადგინა აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. სკოლის საშტატო განრიგის მიხედვით ჰყავს ექთანი, რომელიც დახმარებას უწევს სასკოლო საზოგადოებას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში. სკოლის მიერ მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობა არის 60 მოსწავლე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანება N41/ნ/01-23/ნ-ის შესაბამისად სკოლაში 50-დან 100 მოსწავლემდე განსაზღვრულია 1 ექიმი ან რესურსის არ არსებობის სემთხვევაში შეიძლება ჩანაცვლდეს ექთნით. სკოლას 2022 წლის ოქტომბერში გამოცხადებული ჰქონდა ექიმის ვაკანსია, თუმცა ამ ეტაპზე სკოლაში დასაქმებულია ექთანი და საშტატო განრიგის მიხედვითაც სკოლას განსაზღვრული ჰყავს ექთანი. სასურველია საშტატო განრიგით განისაზღვროს 1 ექიმი, ნაცვლად ექთნისა.

სკოლას აქვს 8 ვიდეო კამერა, 4 შენობის შიგნით და 4 გარე კამერა, რომელიც აკონტროლებს გარე პერიმეტრს.

სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გაგემა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებას. სკოლაში არ არის შექმნილი საგანგებო შტაბი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია უფლებამოსილ ორგანოსთან საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმის შეთანხმება 2024 წლის 15 ივნისამდე, ხოლო აკრედიტებული ორგანოს მიერ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპვება 2024 წლის 15 აგვისტომდე.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია:

სკოლამ შეათანხმოს უფლებამოსილ ორგანოსთან საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.
სკოლამ მოიპოვოს აკრედიტებული ორგანოს მიერ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.

რჩევა:
სასურველია სკოლამ საშტატო განრიგით განსაზღვროს 1 ექიმი, ნაცვლად ექთნისა.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
   სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად, ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე. ამ მიზნით აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა ყველა მოსწავლისთვის. სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრები თემებზე: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია და ა.შ. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
   მოსწავლეზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური, ეკონომიკური და ა.შ. ძალადობის ნიშნების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან გასაუბრება. ასევე, სკოლის მიერ განსაზღვრული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ახდენს აღნიშნული მოსწავლის რეფერირებას, რის შემდეგაც ხდება ფსიქოლოგიის სამსახურის მიერ მოსწავლესთან დაკავშირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ამასთანავე, სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი, სპეციალური მასწავლებელი, რომლებიც უზრუნველყოფს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და

უსაფრთხოებას. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

   სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ამ მიზნით სკოლის დამლაგებელს დავალებული აქვს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება. სკოლის სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს დირექცია და სკოლის ექთანი. სკოლაში გამოკრულია სანიტარული კვანძების დასუფთავების აღრიცხვის ფურცელი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

   სკოლას შემუშავებული აქვს და 2021 წლის 22 თებერვლის ბრძანება N10-ით დამტკიცებულია სკოლის პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებსა და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი პერსონალური მონაცემების დაცვის, დამუშავების წესი, დამუშავების პრინციპები, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, ელექტრონული პროგრამის გამოყენების შემთხვევაში პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, პერსონალური მონაცემების დაცვის წესი მატერიალური თუ ელექტრონული ჟურნალის გამოყენების შემთხვევაში, ვიდეოთვალთვალის განხორციელების დროს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, მონაცემების დაცვის წესი შენობაში შესვლისა და გასვლის დროს, მონაცემების დაცვის წესი ელექტრონული ფოსტისა თუ ტელეფონის ნომრის გამოყენების დროს, ასევე განსაზღვრულია მონაცემების დაცვის წესი პირადი საქმეებისა თუ ელექტრონული ბაზების წარმოების დროს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სკოლის დირექტორს.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

   სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. სკოლა თანამშრომლოს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, რომლის ფარგლებშიც სკოლას ემსახურება ცენტრის სპეციალისტი.

აღნიშნული სპეციალისტი უზრუნველყოფს: სკოლის ინტერნეტ ქსელის ადმინისტრირებას; სკოლის კომპიუტერული ბაზის კიბერბულინგისგან დაცვას ანტივირუსების ჩაწერის საშუალებით. კომპიუტერულ ბაზაში ინახება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, შესაბამისად, მის დაცვას უზრუნველყოფს სწორედ შიდა ქსელის გამართულად ფუნქციონირება. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისას შექმნილი პრობლემების დროს ხდება დაკავშირება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურად მოკლე დროში პრობლემის მოგვარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

   სკოლის არ აქვს ცალკე დოკუმენტად შემუშავებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები, რომლის ფუნქციონირების შეფასებაც შეიძლება ხდებოდეს. თუმცა სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა გეგმავს განახორციელოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება მასწავლებლების, მოსწავლეების და მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ. შეფასებისთვის აპირებენ კითხვარების გამოყენებას, რომელიც საშუალებას მისცემს სკოლას მოახდინოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება. შეფასების დროს, მის ჩატარების წესს, ფორმას და შეფასების კითხვარის შინაარსს განსაზღვრავს სკოლის დირექტორი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი ტრენინგ-კურსის საფუძველზე მინიჭებული სერტიფიკატი N881/19;
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N1480 (16/11/2020);

- სახანძრო ტექნიკური შემოწმების საფუძველზე შედგენილი N21 მიწერილობა;
- საშტატო განრიგი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
   სკოლას სარგებლობაში აქვს გადაცემული 1940 კვ.მ ფართი მიწის ნაკვეთი, რომელის 357კვ.მეტრზე დგას სკოლის 2სართულიანი შენობა. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიითა და რესურსებით (კერძოდ, მერხები, დაფები, კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორები, მულტიფუნქციური პრინტერები). სკოლას აქვს- 9 საკლასო ოთახი, გარე სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი. სკოლას აქვს პანდუსი და ლიფტი. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც დაცული წიგნადი ფონდით სარგებლობა შეუძლია, როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლეებს. ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტროკატალოგი, ელექტრონული რესურსების ბაზა და ჟურნალი.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
   სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, სადაც გაწერილია სასკოლო სივრცეების გამოყენების წესები (ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული სივრცეები, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა). სკოლის ინფრასტუქტურის სივრცეები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. ეზოში მოწყობილია რეკრეაციული სივრცე. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების პროცედურები და აღჭურვილია ყველა შესაბამისი რესურსითა და მედიკამენტით.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
   სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის თითოეული მოსწავლე უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით. ყველა მოსწავლისათვის გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი, სასწავლო წიგნები. სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, არის კეთილმოწყობილი საპირფარეშოები. ასევე, ადაპტირებული საპირფარეშო შშმ პირთათვის (ორივე სართულზე). სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეების

დაუბრკოლებლად გადაადგილებისათვის სათანადო პანდუსი და ლიფტი. სასკოლო საზოგადოებას აქვს სრული ხელმისაწვდომობა ინფრასტრუქტურულ ერთეულებზე. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

   სკოლის სივრცეები(ფოიე, ბიბლიოთეკა, ეზო, სტადიონი) გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიების, კონკურსებისა და ვიქტორინებისათვის. სკოლის ფოიეში(რომელშიც სკოლის ყველა მოსწავლე შეიძლება განთავსდეს) იმართება პროექტების პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, შეხვედრები, კინოჩვენებები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სპორტული მოედანზე ხშირად ტარდება სხვადასხვა სპორტული აქტივობები. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელი 9:00 საათიდან, თუმცა 13:00-17:00 საათამდე მოსწავლეებს შეუძლიათ ბიბლიოთეკაში მუშაობა, როგორც ინდივიდუალურად ასევე ჯგუფებში.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

   სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც არსებული წიგნადი ფონდი წარმოადგენს სკოლის საკუთრებას. ბიბლიოთეკაში განთავსებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ილუსტრირებული მასალები გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებიდან, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების თითოეული ეგზემპლიარი დამუშავებულია სათანადო წესით და მინიჭებული აქვს საინვენტარო ნომერი. სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში, აქტიურად გამოიყენება მოსწავლეთა განვითარებისათვის.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის გამოყენების წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
   სკოლა უზრუნველყოფილია ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით. სკოლის ბალანსზე ირიცხება 8 პერსონალური კომპიუტერი, 6 ლეპტოპი, 5 პროექტორი. სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელსაც სასწავლო მიზნებისათვის იყენებენ მოსწავლეები და მასწავლებლები. კომპიუტერულ ლაბორატორიაში პედაგოგებს შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი მასალები

გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვისათვის. მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილის მომზადების მიზნით ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

   ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა. მასწავლებლებს შეუძლიათ გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. ასევე, სკოლაში განთავსებულია პროექტორები, რომელთა გამოყენებაც სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მასწავლებლებს. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, სადაც გათვალისწინებულია რესურსების გამოყენება. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს აქვთ საშუალება კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენეონ დავალებებისა და პროექტებზე მუშაობისათვის.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი(ბრძანება N39, 25/08/2023);
- ინვენტარიზაცია;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
   სკოლაში საქმისწარმოება ხდება eflow-ს მეშვეობით, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება თითოეული განცხადება, რომელსაც ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი, იტვირთება ბრძანებები. ბრძანებები ინახება მატერიალური ფორმითაც. სკოლაში არ არის გამოყოფილი საკადრო და საერთო ბრძანებები. ბრძანებებს რიგითობის მიხედვით ენიჭება ინდივიდულური ნომერი. სკოლაში მიმდინარეობს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, სადაც ყოველი კალენდარული წლის მიხედვით თანმიმდევრულად ინომრება ხელშეკრულებები და ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში.
   სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია საქმისწარმოების წესი შემუშავების ვადად 2023 წლის 30 დეკემბერი.
   ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.
   რეკომენდაცია:
   სკოლამ საქმისწარმოების წესი შეიმუშაოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
   სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული ფორმით. მოქმედებს eflow-ს სისტემა, სადაც ხდება ყოველი შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება, ასევე, მოხსენებითი ბარათების ატვირთვა. იტვირთება ბრძანებები, რომელიც სკოლაში გამოიცემა. Eschool-ის სისტემის გამოყენებით ხორციელდება მოსწავლეთა მობილობის პროცესი, ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება და სხვა. ასევე ბაზაში არის ინფორმაცია, თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ბაზაში განტავსებულია საგაკვეთილო განრიგი/ცხრილი, სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები, ხარისხის ჯგუფის შემადგენლობა, სახელმძღვანელოები. სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა enageti@mes.gov.ge , რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის გაცვლა.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის სისტემაში სრულყოფილი პროფილი, რომელშიც სრულად არის ასახული მონაცემები სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ასევე, წარმოდგენილია სკოლის კარიერული წინსვლისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შესახებ ინფორმაცია. პროფილის განახლება ხდება უწყვეტ რეჟიმში. განხორციელებულია საგნების განაწილება, შედგენილია ცხრილები, არჩეულია სახელმძღვანელოები, დაწესებულება კანონდმებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

   სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება დროულად აწვდის უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. შემოსული განცხადებები თუ წერილი სკოლის დირექტორის მიერ ეწერება შესაბამის უფლებამოსილ პირს შემდგომი რეაგირებისათვის, რომელსაც განესაზღვრება ინფორმაციის დირექტორისათვის წარდგენის ვადა. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ხდება შესაბამისი რეაგირება.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის Eschool-ის ბაზა;
- სკოლის eFlow ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
   სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას მშობელტა კრებებზე, შეხვედრებზე, ინდივიდუალური გასაუბრებისას. ასევე აწვდის ინფორმაციას სატელეფონო ზარის საშუალებით. სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი.
   სკოლას აქვს ვებ-გვერდი skolebi.emis.ge პორტალზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია ვებ-გვერდზე სრულყოფილი ინფორმაციის განთავსების უზრუნველსაყოფად 2023 წლის 30 დეკემბერი.
   ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.
   რეკომენდაცია:
   სკოლამ ვებ-გვერდზე განათავსოს სრულყოფილად ინფორმაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
   სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება სკოლაში არსებულ რეალობას და, საჭიროების შემთხვევაში, სკოლას აქვს მისი დოკუმენტური დადასტურების საშუალება. მოქალაქის მომართვის შემთხვევაში სკოლაზე განცხადებით, ინფორმაციის გამოთხოვების შესახებ. იწყება ინფორმაციის მოძიების პროცესი, რაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
   სკოლა უზრუნველყოფს შემოსული ინფორმაციის გათვალისწინებას შემდგომ საქმიანობაში. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებისათვის და მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლის საქმისმწარმოებელი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow-თი, მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ით შემოსულ ინფორმაციას სისტემატურად აწვდის ადრესატს და დაინტერესებულ პირებს.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
   სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი, შესაბამისად ვერ დადგინდება ინფორმაცია რომელ ენაზე განთავსდება.
   სკოლას აქვს ვებ-გვერდი skolebi.emis.ge პორტალზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ქართულ ენაზეა განთავსებული.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.
   სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი. თუმცა სკოლის ადმინისტრაციასტან გასაუბრებით დგინდება, რომ ინდიკატორით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას განათავსებენ ვებ-გვერდზე მისი ამოქმედების შემდეგ.
   სკოლას აქვს ვებ-გვერდი skolebi.emis.ge პორტალზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია ვებ-გვერდზე სრულყოფილი ინფორმაციის განთავსების უზრუნველსაყოფად 2023 წლის 30 დეკემბერი.
   ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.
   რეკომენდაცია:
   სკოლამ ვებ-გვერდზე განათავსოს სრულყოფილად ინფორმაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისმწარმოებელი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow
- მართვის საინფორმაციო სისტემა eschool

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
   სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით. სკოლა ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტს, რომელსაც ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის N4 ოქმში წარმოდგენილია 2022 წლის ფინანსური

ანგარიშის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიშის განხილვა და 2023 წლის ბიუჯეტის განხილვა. სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სკოლის მიერ შემუშავებულია შესყიდვის განხორციელების წესი, განსაზღვრულია გვყავს შესყიდვების კოორდინატორი, რომელსაც ევალება შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნების სწორად განხორციელება. ასევე, განსაზღვრულია გეგმის კორექტირებაზე პასუხისმგებელი პირიც, ვინც ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში ცვლილებასა და გეგმის კორექტირებას. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კეთდება დასკვნა, რომ სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) ეფექტიანი სისტემა.
   სკოლაში დამტკიცებული აქვს 2023 წლის ბიუჯეტი (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4, 07/12/2022), რომლის მიხედვითაც ხდება სკოლის მიერ ფინანსური რესურსის ხარჯვა. დამტკიცებულ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდისა თუ შემცირების ცვილებების შემთხვევაში იგივე პროცედურების უზრუნველყოფით ხდება ბიუჯეტის ცვლილების დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლას აქვს შემუშავებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. აღნიშნული გეგმის შემუშავება ხდება ბაზრის კვლევის საფუძველზე. ამასთანავე, შესყიდვების გეგმის ცვლილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ცვლილების ბრძანებით დამტკიცება და ცვლილების ელექტრონულ EPLAN-ის ბაზაში ასახვა. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს და აცნობს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4, 07/12/2022;
- ფინანსური ანგარიში;
- შესყიდვების გეგმა;
- 2023 წლის ბიუჯეტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
   სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მათ დარღვევაზე პასუხისმგებლობის ფორმები. სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების,

დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას.

სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში მრჩეველთა საბჭოს წევრები აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, მათვის ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა. ასევე მრჩეველთა საბჭოს წევრები სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ აწარმოებენ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას შემდეგ საკითხებზე: ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინაამღდეგ; დისკრიმინაციის წინაამღდეგ; ბულინგისა და კიბერბულინგის წინაამღდეგ; ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. სკოლაში განსაზღვრულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც შიდა წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. სკოლაში შექნილია დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დისციპლინური წარმოების მაგალითი ბოლო წლის მანძილზე სკოლაში არ ყოფილა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

   სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში პირველ სართულზე, საინფორმაციო დაფაზე, ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. მშობელთა კრებებზე ხდება შინაგანაწესის გაცნობა, მშობელთან და სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეტანილია შინაგანაწესის გაცნობის აუცილებლობა, რაც ხელმოწერით დასტურდება. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს და დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება რეგულაციების გაცნობის.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

   სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის დროს (პირველ კლასში ან/და მობილობით ნებისმიერ კლასში) მშობელი ეცნობა ხელშეკრულების პირობებს, დირექცია საჭიროების

შემთხვევაში აძლევს განმარტებებს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის უფლებები და მოვალეობები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის პედსაბჭოს ოქმი შინაგანაწესის გაცნობის შესახებ;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
   სკოლას შემუშავებული არ აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით, eFlow-ის სისტემისა და Eschool-ის ბაზების შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შინაგანაწესში ნაწილობრივ წარმოდგენილია აღნიშნული საკითხები.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
   სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით, eFlow-ის სისტემისა და Eschool-ის ბაზების შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად. მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება. სტატუსის შეჩერების შემთხვევების შედეგად დგინდება, რომ ყველა შემთხვევა მოსწავლის საზღვარგარეთ წასვლის მიზეზით ხდებოდა და მშობლის განცხადების საფუძველზე ხდებოდა.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
   სკოლაში ფუნქციონირებს მუსიკის წრე, რომელსაც ქალაქ თეთრიწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილის (MES 5 22 0001121876, 20/09/22) საფუძველზე, თეთრიწყაროს მერია ამუშავებს. სკოლის ნებისმიერ მოსწავლეს აქვს საშუალება წრეში გაერთიანების.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისე არის შემუშავებული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები და არ იყოს დისკრიმინაციული. აღნიშნული ინფორმაცია მშობლებს მიეწოდებათ მშობელთა კრებებზე, შეხვედრებზე, სატელეფონო მესიჯებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 ს.წ; 2023-2024 ს. წ.(პროექტი);
- ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების შესახებ;
- ბრძანებები კლასის დაძლევის შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ქალაქ თეთრიწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილი MES 5 22 0001121876, 20/09/22.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2, 23/08/2022.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. არსებული წესის გამოყენება გათვალისწინებულია პირველ კლასის და ნებისმიერ ახლადგადმოსული(მობილობით, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებით) მოსწავლისათვის. არსებული წესით გათვალისწინებულია: გასაუბრებები მოსწავლეებთან და მშობლებთან, სასკოლო გარემოს გაცნობა, კლასის წინაშე წარდგენა, მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შეხვედრები და საუბრები მხარდაჭერისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
   სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ზრუნავს მოსწავლეთა ადაპტაციაზე სასწავლო გარემოსთან. პირველკლასელთათვის სანამ სასწავლო წელი დაიწყება საბავშვო ბაღის მასწავლებლებთან ერთად მოდიან

სკოლაში და ეცნობიან სასკოლო გარემოს. სწავლის დაწყებისას ეწყობა ღონისძიება, ათვალიერებენ სკოლას, კლასში ხვდებათ სადღესასწაულოდ მომზადებული გარემო.

ყველა დანარჩენი კლასის დამრიგებელი აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ესაუბრება მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. დამრიგებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, რომ მხარდაჭერილი იქნება მათი ინიციატივები და სკოლა ხელს შეეწყობს მათი ინტერესების შესაბამისად აქტივობებისა დაგეგმვასა და განხორციელებას. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინიციატივების შესახებ მსჯელობა კი დაგეგმვა და განხორციელება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

   მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები სკოლის მოსწავლეს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რაც მოსწავლეს ეხმარება აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები ატარებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს მოსწავლეებთან. ექსტერნების შემთხვევაში ყველა საგამოცდო საგანში მოსწავლე უზრუნველყოფილია კონსულტაციის მიღების შესაძლებლობით.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

   დირექციასთან გასაუბრებით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა და სხვა) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში.

   სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე მიეწოდებათ ინფორმაცია გაცდენების შედეგად ექსტერნის ფორმით ექსტერნის ფორმით კლასის დაძლევის შესახებ. ასევე სემესტრული გამოცდის დანიშვნა რა მიზნით და როდის არის შესაძლებელი.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
   სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.
   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, რომლის შესაბამისადაც სკოლაში ფუნქციონირებს საბაზო საფეხურის თვითმმართველობა. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებაში, ძირითად ფუნქციებში გაწერილია, რომ იცავს მოსწავლეთა ინტერესებს და საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობს სკოლის დირექციასთან, წარუდგენს დირექციას სკოლისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს და სკოლა ცდილობს გაითვალისწინოს სამომავლო გეგმებში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023 ს.წ;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ინდ. გეგმები;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
   სკოლა, მოსწავლეების კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით, თანამშრომლობს პროფესიულ კოლეჯ მოდუსთან მარნეულში (მემორანდუმი არ აქვს გაფორმებული), წლის განმავლობაში 2ჯერ განხორციელდა ვიზიტი. 2022-2023 სასწავლო წლის სადამრიგებლო პროგრამებში სადამრიგებლო საათის ფარგლებში გათვალისწინებულია პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ღონისძიება „ერთი დღე პროფესიაში“.
   ინდიკატორია დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში IX კლასის დამრიგებლები მოსწავლეებთან და მშობლებთან მართავს შეხვედრას და აწვდის ინფორმაციას პროფესიული სასწავლებლების შესახებ. დამრიგებლები უზრუნველყოფენ კოლეჯების პროგრამების მოსწავლეებისათვის გაცნობას. ასევე მათ მიეწოდებათ ინფორმაცია საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესახებ.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ბოლო წლების გამოცდილებით სკოლის კურსდამთავრებულები ძირითადად აგრძელებენ საშუალო საფეხურზე სწავლას მეზობელ სოფლის სკოლაში (სადაც უზრუნველყოფილნი არიან

ტრანსპორტირებით). სკოლას არ აქვს გამოცდილება გაწეული მომსახურების შეფასების, თუმცა დირექციასთან გასაუბრებით დგინდება სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გეგმავს ყოველწლიურად ჩაატაროს კურსდამთავრებულების გამოკითხვას, რითაც დაადგენს მათ კმაყოფილებას სკოლაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
   2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო წლის პროექტში ერთი თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას, რომელშიც გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. არსებული მექანიზმი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება; სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო

გეგმის ნიმუში. თითოეულ ნაწილში განმარტებულია თუ რა მოიაზრება მათ ქვეშ, რა არის გასაკეთებელი თითოეული მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მშობლები მონაწილეობენ ინდივიდუალური გეგმის შედგენის განხილვაში. ესწრებიან მშობელთა კრებებს, ინდივიდუალურ შეხვედრებს, ეცნობიან ბავშვების მიღწევებს, ნამუშევრებს. ასევე ითვალისწინებენ საგნის მასწავლებლების, დამრიგებლის და სპეცმასწავლებლის რეკომენდაციებს. მულტიდისციპლინული გუნდის დასკვნის საფუზველზე და მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლის მიხედვითაც შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და რომლითაც ხელმძღვანელობენ წლის განმავლობაში. საგნის პედაგოგები იღებენ რეკომენდაციებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და დირექციისგან. ისგ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან კლასის დამრიგებლები, მშობლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან სსსმ მოსწავლეს. აღნიშნული ისგ ჯგუფები შეიმუშავებენ ინდ. გეგმებს, რომლებსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასება;
- ბრძანება ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- 2022-2023 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ისგ-ს ჯგუფის შეხვედრის ოქმი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში;

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

   სკოლას იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გასცემული აქვს ქალაქ თეთრიწყაროს მერიისათვის სკოლის ფართი(16კვ.მ), სადაც ფუნქციონირებს მუსიკის წრე. თანხმობა მიღებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან ქალაქ თეთრიწყაროს მერისათვის უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ. სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების საფუძველზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ არის შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში გააზრებული აქვთ, რომ მომსახურება იქნება ნებაყოფლობითი.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.
   სკოლა, დროებით სარგებლობაში გაცემული მომსახურების გარდა(მუსიკის წრე), სხვა დამატებით მომსახურებას არ სთავაზობს მოსწავლეებს. თუმცა აღნიშნული საქმიანობა არ საჭიროებს განსაკუთრებული უფლებების მოპოვებას. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით, როგორც მთლიანად სკოლაში.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ქალაქ თეთრიწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილი MES 5 22 0001121876, 20/09/22.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2, 23/08/2022.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - <u>**დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**</u>

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მოწოდებული დოკუმენტაცია და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დაწყებითი საფეხურის საგნების პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს, მსჯელობენ მათთვის საინტერესო საკითხებზე და მიდიან კონსესუსამდე. შეხვედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა კლასებისა და მოსწავლეთა სუსტსა და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს იგეგმება, მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. გასაუბრების პროცესი მასწავლებლები საუბრობენ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, ხოლო მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილ იქნა გამოკითხვის მეთოდით. მათი უკუკავშირების საფუძველზე დაიგეგმა რიგი აქტივობები, თუმცა სკოლას ამის ამსახველი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია. დაწყებითი საფეხურის კათედრაზე მოხდა კურიკულუმის მეთოდიკის შემუშავება.

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის ზოგადი ჩარჩო. სამომავლოდაც სკოლა გეგმავს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში ყოველთვის ასახოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები. სკოლა გეგმავს გამართონ შეხვედრები მოსწავლეებთან და მშობლებთან, დაურიგონ კითხვარები, დააკვირდნენ პროცესს და კურიკულუმი განავითარონ მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, ასევე გათვალისწინებულია მშობლის ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს, მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ამის დასტურად, სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კათედრის სხდომის ოქმები, სადაც ასახულია კურიკულუმის შემუშავების პროცესი . აღსანიშნავია, რომ მთელ სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს ამ საკითხის მნიშვნელობა და სამომავლოდ გეგმავს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში (რომელიც წარმოდგენილია ზოგადი ფორმულირებებით) მკაფიოდ იქნას გაწერილი სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაცია, მშობელი, თემი) ინტერესების, პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმის შემუშავების პროცესი სკოლაში ერთნაირი მეთოდოლოგიით მიმდინარეობს და მის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეთა როლები შემდეგნაირადაა გადანაწილებული: პედაგოგების ვალდებულებები: - უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით; უნდა მიიღოს მონაწილეობა კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. კათედრის თავმჯდომარის ვალდებულებები: უნდა შეათანხმოს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების / სასწავლო პროცესის შესახებ; უნდა შეაგროვოს

კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალები და ფასილიტაცია გაუწიოს კათედრის სხდომებს; უნდა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, დათქმულ ვადებში სკოლის დირექციას უნდა მიაწოდოს შეთანხმებული ინსტრუმენტების საფუძველზე მომზადებული მასალები, რომლებიც სასწავლო პროცესის შესახებ შეიცავს ინფორმაციას; მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. სკოლის დირექცია - კურიკულუმის დანერგვის პროცესში სკოლის დირექციის ფუნქციაა უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენებენ საკომუნიკაციო არხებს: ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები . საკომუნიკაციო არხები დაეხმარება უფრო მეტად ჩართოს მოსწავლეები და მშობლები მათი კომპეტენციებისა და ინტერესების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდება სასკოლო კურიკულუმის და მისი დამხმარე მასალების ხელმისაწვდომობის გაზრდა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, ფორმალური და არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალებები და ა. შ.). ამისათვის მოხდება სოციალური გვერდების, სადამრიგებლო საათის, მშობელთა კრებების, მშობლის ბარათების გამოყენება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები ;
- კურიკულუმის შემუშავების ამსახველი ფოტომასალა, კათედრების მიხედვით;
- კათედრის შეხვედრების ოქმები;
- სკოლის სოციალური გვერდი.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. დაწყებით საფეხურზე თითოეული საგანში შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე. კერძოდ, დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელმწიფო ენის კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. დაწყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის ჩარჩო ცხრილებში შევსებულია როგორც სავალდებულო ველები: თემები, ტექსტი/ტექსტები (კონტექსტ-მაგალითები), სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; ასევე არასავალდებულო ველები: სამიზნე ცნება / ქვეცნებები, საკითხები და კომპლექსური დავალებების იდეა, როდესაც კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლება. დაწყებით საფეხურზე სკოლა გეგმავს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების ინსტრუმენტებისა და კომპლექსური დავალებების ბარათის შემუშავებისა და გამოყენების პრაქტიკას. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა იაზრებს, მოსწავლეზე ორიენტირების პროცესისათვის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე უნდა იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებების შესრულება. ამ თვალსაზრისით კათედრაზე კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების მიხედვით მკაფიო ხდება, რომ იგეგმება

კომპლექსურის დანერგვა თითოეულ კლასში. შესაბამისად, სწავლებისას ისინი ითვალისწინებენ დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლასთან გასაუბრებისას მკაფიო გახდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დაგეგმილი კომპლექსურებით უზრუნველყოფს თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვას საგანში.

მათემატიკის დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით; წარმოდგენილია მესამე, მეხუთე და მეექვსე კლასების კურიკულუმები.

უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მეტ-ნაკლებად პროცესზე ორიენტირებული, რომელიც ცდილობს აჩვენოს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. ასევე მეტ-ნაკლებად ხდება ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის / მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. შუალედური მიზნები განსაზღვრულია სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, კომპლექსური დავალებების იდეები, შესაბამისი კონტექსტ- მაგალითები, საჭირო რესურსები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, სასწავლო მასალამ ნიმუშების სახით (განმავითარებელი შეფასებები, თვითშეფასების, გასასვლელი და შესასვლელი ბარათები/ კითხვარები) და ინტერვიუმ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან წარმოაჩინა კათედრის სწორი ხედვა და მზაობა. კათედრამ გამოამჟღავნა სტრატეგიების ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების ცოდნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების განსაზღვრისათვის.

დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები, (”მე და საზოგადოება III-IV კლასი, “ჩვენი საქართველო” - V-VI კლასი) სადაც რიგ სავალდებულო თემებში შერჩეული საკითხების საშუალებით თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, როგორც გრძელვადიანი მიზანი. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით, მათ ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და გააკეთეს აქცენტები კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე.

ტექნოლოგიების კურიკულუმში შემუშავებული კურიკულუმი მოსწავლის საჭიროებებზეა ორიენტირებული , რაც დასტურდება როგორც საგნის მასწავლებელთან გასაუბრებაზე დასმული კითხვებით და პასუხებით , ასევე უშუალოდ საგნის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით. მაგალითად, საგნის მასწავლებელმა ინტერვიუს დროს ახსენა , რომ კომპლექსური დავალებების შედგენისას აქტივობებს ისე არჩევდა , რომ ყველა მოსწავლე ყოფილიყო ჩართული მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე. კომპლექსური დავალებები

www.school.emis.ge -დან კონსტრუქტივისტული ხასიათისაა და მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე, მაგალითად, ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (emis.ge) მე- 2 კლასის დავალების ერთ-ერთი აქტივობაა მოთხრობის შექმნა და შემდეგ ვსწავლობთ თამაშით (geolab.edu.ge) პროგრამაში მოთხრობის ვიზუალიზაცია. ეს დავალება და ასევე აქტივობა მოსწავლის კომპლექსურ განვითარებაზეა ორიენტირებული.

ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ შემუშავებულ საგნობრივ (მუსიკა/ხელოვნება) კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია მოსწავლის ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებითაც მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და წარმოაჩინოს სრულად საკუთარი თავი. კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კერძოდ, დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც თავისთავად გულისხმობს სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებას, მოსწავლის წინარე ცოდნიდან ნაბიჯ-ნაბიჯ მისვლას ახალი ცოდნის აღმოჩენამდე და ამ ცოდნის ცხოვრებასთან ტრანსფერით. საგნობრივ ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირდება ქართულ ენაში განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე, რაშიც ასევე გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ხოლო ამ ცნებათა დაძლევისათვის განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების რეალიზების გზა იძლევა შესაძლებლობას, დაძლეული იყოს გლობალურ – ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, რაც, ფაქტია, კომპლექსური ბუნების დავალებების მახასიათებელია. ასევე მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ არაფორმალური განათლების მიზნით მოსწავლეთა მიერ შექმნა ხელნაკეთი წიგნები, მოაწყო ღონისძიება „ისწავლე დედაენა“, USAID –ის ფარგლებში ჩაატარა სწავლა–სწავლების სხვადასხვა აქტივობა.
მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმი/ები ორიენტირებულია მოსწავლეებში 21-ე საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში, ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია სამივე სამიზნე

ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას.
უცხოური ენების კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები დაეხმარება მოსწავლეებს კომპონენტური უნარების განვითარებაში. მოსწავლეს მოუწევს ჩაერთოს კომუნიკაციაში, იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითი უნარი გამოიყენოს. გუნდური და ჯგუფური სამუშაო განუვითარებს თანამშრომლობის უნარს, ხოლო რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მოსწავლის ხასიათს და პიროვნებას ჩამოაყალიბებს.

დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმის შესწავლისას, ცალსახად გამოიკვათა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო /გეგმა მიემართება საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიღწევისკენ, ასევე კომპლექსური დავალებების პირობები, საკითხები, რესურსები, დამატებითი რესურსები ხელს შეუწყობს /უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება,შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, მოქალაქეობა, ნებელობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის (”მე და საზოგადოება III-IV კლასი, “ჩვენი საქართველო” - V-VI კლასი) კათედრის მასწავლებლებმა წარმოადგინეს კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე ფოკუსირებით, რომლებსაც უფრო აზუსტებს და მკაფიოს ხდის სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული ქვეცნებები. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით დაგეგმილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მეტწილად აგებულია სავალდებულო თემების მიხედვით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ ისინი საგნობრივ კურიკულუმებში გამოკვეთენ საკითხთა იმ კლასტერებს და მათ შესაბამის კონტექსტ-მაგალითებს, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლეებისათვის დაგეგმავენ იმ საკითხების კომპლექსურად შესწავლას, რომელიც საგაკვეთილო პროცესში ნაბიჯ-ნაბიჯ გააქტიურებს ისეთ ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ნებელობა, მოქალაქეობა. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მიერ შექმნილი საგნობრივი კურკიკულუმების ჩარჩოებზე დაყრდნობით დაგეგმონ ისეთი მეტაკოგნიტური სტრატეგიების სასწავლო პროცესში გამოყენება, როგორიცაა: თვითშეფასება, შედეგების პროგნოზირება, მსჯელობა, უკუკავშირი, გადამოწმება, ასევე მასწავლებლის და მოსწავლის რეფლექსიები და განმავითარებელი შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებსა და ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას. სკოლა აცნობიერებს, რომ ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. დაწყებით საფეხურზე სახელმწიფო ენის კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები. კომპლექსური დავალებები კი , იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას. დაწყებით საფეხურზე სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს, რაც მკაფიოდ იკითხება სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში. მით უფრო, როცა ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება აქვს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს. სკოლა ჩართული იყო G-PRIED- ის საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტში. შესაბამისად, სკოლა აღჭურვილია სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსებით, რომელსაც ეყრდნობიან და სისტემატიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. რაც შეეხება ინკლუზიურ მიდგომებს, ასეთ მოსწავლეებთან მუშაობაში აქტიურად არის ჩართული სპეც. მასწავლებელი. სსსმ მოსწავლეებისათვის, საგნების მიხედვით, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სწავლება ხორციელდება აღნიშნული გეგმების შესაბამისად. რის მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში, მესამე კლასის სსსმ მოსწავლისათვის ინტერვენციათა გეგმა, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა.

III, V, VI კლასების მათემატიკის კურიკულუმებში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობა , კრიტერიუმები და აქტივობები ფორმულირებულია ისე, რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც წარმოდგენილია კურიკულუმებში მოსწავლეს საშუალებას აძლევს აირჩიოს მათთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, მოსწავლის მზაობიდან გამომდინარე. . დამატებითი ინფორმაციისა და დეტალების მოძიება შესაძლებელი გახადა ვიზიტის დროს პედაგოგთა უკუკავშირით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მოსწავლის სწავლის პროცესს აკვირდებიან, მონაცემებს აგროვებენ, მათი ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს ადგენენ, მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად. გაგვიზიარეს გამოცდილება კომპლექსური დავალების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ადაპტაციის კუთხით.

უცხოური ენების კურიკულუმები დაგეგმილია თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებასა და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; შუალედური სასწავლო მიზნის

მიღწევის ინსტრუმენტია კომპლექსური დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს (იგულისხმება არა მხოლოდ სსსმ, არამედ კლასის ნებისმიერი მოსწავლე, თუ დავალების ადაპტირებას საჭიროებს.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სასწავლო კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების არჩევანს. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი. პროდუქტის წარდგენის ფორმის არჩევის საშუალებას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობის და მათი ინტერესის სფეროს შესაბამისი აქტივობები. დაწყებით კლასებში სკოლას ჰყავს შშმ მოსწავლე, მომდევნო სასწავლო წლის გეგმის საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია მისთვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მოდიფიცირებული დავალებები.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს როგორც თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, ასევე პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ სწავლის პროცესის დროს ისინი ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და შესაძლებლობებზე, მათ ინტერესებზე. მომავალ სასწავლო წელს მოსწავლეებს მათზე მორგებულ სასწავლო რესურსებსა და სასწავლო მასალას შესთავაზებენ, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. პედაგოგებს აქვთ მზაობა მოსწავლეებს მისცენ მათ საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური ტიპის დავალებები.

ტექნოლოგიების სწავლებისას მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირების მეთოდს, რაც გამოიხატება მოსწავლეების შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმვის პროცესში, მაგალითად, წყვილებში მუშაობის აქტივობებში მოსწავლეებს აწყვილებს ისე, რომ მათ ერთმანეთის დახმარება შეძლონ მე-3 კლასში ჰყავთ სსსმ პირი , რომლისთვისაც მასწავლებელს შედგენილი აქვს ინდივიდუალური გეგმა, თუმცა დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი. ამ მოსწავლეზე საუბრისას მასწავლებელი ასახელებს კომპიუტერთან მუშაობის ადაპტაციის მეთოდებს , რომლებიც მოსწავლეს ეხმარება დავალების შესრულებისას , მაგალითად : on screen keyboard -უტილიტა, კლავიატურის გამოყენების ადაპტირებული ვარიანტი სსსმ პირებისთვის.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე არეგულირებენ დატვირთვის მოცულობასა და ინტენსივობას, ცვლიან სარბენ მანძილს, სირბილის ტემპს და სხვ. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ფიზიკური აღზრდის საგანში, რომელშიც წარმოდგენილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, მიზნის შესაბამისი აქტივობების მაგალითები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლ ენაგეთის საჯარო სკოლაში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან მე-6 კლასის ჩათვლით. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება შეფასება. სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. სკოლა გეგმავს 2023–2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელ შეფასებად გამოიყენოს პირველი მოდელი. სკოლას დაწყებით საფეხურზე ასევე აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, როგორებიცაა: ზეპირმეტყველების, მსჯელობის, ჩართულობის, ჯგუფურ მუშაობაში თვითშეფასების სქემა, ინფორმაციის მოძიების, დამოუკიდებელი მუშაობის, წერითი სამუშაოს შესრულების, მოსწავლეთა თვითშეფასების, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის, დისკუსიის და სხვა. კათედრას აქვს ხედვა, როგორ რეალიზდება სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასებების რუბრიკები პრაქტიკაში და შესაბამისად, გეგმავს შესწავლილი თემის მიხედვით განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის შემუშავებას, რომლის შექმნაში ფიქრობენ, აქტიურად ჩართონ სკოლის მოსწავლეები, ხოლო სემესტრული შეფასებისთვის შექმნან და გამოიყენონ სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები.

უცხოური ენების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აჩვენებს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე ადგენს მოსწავლის წინარე ცოდნას და წარმოდგენებს; გამოავლენს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; აჩვენებს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. ამ ამოცანების შესრულება ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს.

ბუნებისმეტყველების პედაგოგებს ვიზიტისას წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შექმნილი აქვთ მე- 5 კლასის მეორე სემესტრიდან და მეექვსე კლასისთვის განმსაზღვრელი და I-VI კლასებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ბუნებისმეტყველების სხვადასხვა კლასებში, განმსაზღვრელი შეფასება სტანდარტის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით თითოეულ სამიზნე ცნებაში, ხოლო განმავითარებელი შეფასება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავებისთვის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით აქვთ შედგენილი. ასევე მტკიცებულების სახით აქვთ წინა სასწავლო წლებში შექმნილი კომპლექსური დავალებების

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სოლო ტაქსონომიების სახით. შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზები.

ესთეტიკის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრებს აქვთ წინარე გამოცდილება, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსის გაგების თვალსაზრისით, მაგრამ ორივე შემთხვევაში განმავითარებელი შეფასების ძირითადი ფორმა იყო ზეპირი განმავითარებელი კომენტარი. თუმცა დაწყებით საფეხურზე სპორტის მასწავლებლებს შემუშავებული და წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკური თვისებების და ტექნიკური ელემენტების განვითარების მიხედვით. სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს შეფასების სისტემა, შეიმუშავოს ახალი ტიპის რუბრიკები განმსაზღვრელ-განმავითარებელი შეფასებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

<u>სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლაში დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება და ანალიზი.</u> კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, ასევე იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც სექტემბრიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. სკოლა ამავდროულად გეგმავს, შემდგომში მეტად ხელმისაწვდომი გახადოს და გააზიაროს კურიკულუმის დანერგვის პროცესები, რათა უფრო ეფექტური გახდეს წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავება. კათედრაზე პედაგოგებს აქვს გამოცდილება, მოსწავლეებზე პირადი დაკვირვებისას, ასევე საკლასო თუ საშინაო დავალებების საფუძველზე დაადგინოს მოსწავლეთა შესაძლებლობები და შეაფასონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მიხედვით. აქვე დასძენენ, რომ გაკვეთილების მიმდინარეობისას მოსწავლეებისათვის ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება ხდება სამივე მიმართულებით (პირობისეული, პროცედურული და დეკლარაციული), რაც გულისხმობს პრობლემის გადაჭრას, გამოწვევასთან გამკლავებას და პროდუქტის შექმნას. ამგვარ მიდგომათა შესაბამისად სკოლა ფიქრობს, შექმნას კურიკულუმები კომპლექსური დავალებების ბუნებით, ასევე გაამრავალფეროვნოს სასკოლო ცხოვრება პროექტული ტიპის აქტივობებით.

ბუნებისმცოდნეობის პედაგოგები წინარე გამოცდილებით (მაგ. შემაჯამებლების ანალიზის საფუძველზე, რომელიც კათედრის ოქმებშიც იკითხება) ერთობლივად გეგმავენ კათედრაზე მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, იმასთან დაკავშირებით, რომ საგნობრივი კურიკულუმების („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“) დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებას, კერძოდ, კათედრის სამუშაო შეხვედრებზე მსჯელობენ მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზის, მოსწავლეთა და მასწავლებელთა

რეფლექსიების შესახებ, იზიარებენ კოლეგების გამოცდილებას. პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი განახორციელებენ საგნობრივი კურიკულუმების („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“) მონიტორინგსა და შეფასებას და წინარე გამოცდილებიდან გამომდინარე შეიტანენ ცვლილებებს მათში, მაგალითად: ასახავენ უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ასევე გამოხატეს მზაობა სხვადასხვა წყაროების გამოყენებით გააგრძელონ წინარე გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და განახორციელონ ანალიზი, ვინაიდან მისი გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი.

ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმში პედაგოგებს მეტწილად https://school.emis.ge -ს კომპლექსური დავალებები აქვს მითითებული, სადაც ყველა დავალებას აქვს წინარე გამოცდილების გასააქტიურებელი კითხვები, თუმცა საგნის მასწავლებელთან გასაუბრების დროს დაადასტურა, რომ საკუთარი კომპლექსური დავალებებიც აქვს შედგენილი და ყოველთვის იყენებს წინარე გამოცდილებას , მაგალითად მასწავლებელმა ახსენა შემდეგი გარემოება, რომ მომდევნო კლასის კურიკულუმის შედგენისას, მოსწავლეების წინა შედეგებსა და შესაძლებლობებს აანალიზებდა და ისე ქმნიდა დავალებებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალებები;
- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი;
- მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა (ბუნებისმეტყველება);
- შემაჯამებელი დავალების ს კომპონენტის შეფასების რუბრიკა (კომპიუტერული ტექნოლოგიები);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლაში დაწყებით საფეხურზე, მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე, ცხადი ხდება, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სწავლის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისათვის

ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ ისინი მაქსიმალურად ჩართულები არიან სასწავლო პროცესებში, ასევე საკმაოდ მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ სისტემატიურად ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება რისთვისაც სთავაზობენ ფორმალური თუ არაფორმალური ტიპის მრავალფეროვან აქტივობებს. მტკიცებულებებად გამოდგება მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტები და ნამუშევრებით მოფენილი საკლასო ოთახისა და დერეფნის კედლები. კერძოდ, დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა და შემდგომშიც ამასვე ისახავს მიზნად. იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მათ მიერ შექმნილი ხელნაკეთი წიგნები, ღონისძიება „ისწავლე დედაენა“, USAID –ის ფარგლებში ჩატარებული შემოქმედებით უნარებზე ორიენტირებული სწავლა–სწავლების სხვადასხვა მრავალეტაპიანი აქტივობა. კერძოდ, ,,წიგნის მეგობარი“, რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა დაწერეს მოთხრობები, რომლის მიხედვითაც შექმნეს ხელნაკეთი წიგნები და წელიწადში ორჯერ გამოსცეს ჟურნალი. სკოლა აპირებს გააგრძელოს ეს პროექტი და უფრო მრავალფეროვანი გახადოს. ეს კი მკაფიო დასტურია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის წარმოსაჩენად.

უცხოურ ენებში დაგეგმილი და დაწერილი კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში, სადაც მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას, განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით, იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებელი ქმნის გარემოს, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასთან, გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებისკენ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი კომპლექსური დავალების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის, არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა, როგორიცაა, მაგალითად, პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი, ვიდეორგოლი და ა. შ. საკლასო სივრცე, გარემო, რესურსები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალებები, აქტივობები და მეთოდები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, რასაც ადასტურებს ვიზიტისას მოსწავლეთა მიერ შექმნილი არაერთი სხვადასხვა სახის შესრულებული დავალებების პროდუქტები, რომლებიც საკმაოდ შემოქმედებითადაა გადაწყვეტილი. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კომპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს შანსს აქტიურად ჩაერთოს პროცესში. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ კათედრას აქვს განხორციელებული არაერთი პროექტი. წარმოდგენილი პროექტების აღწერა ნათლად წარმოაჩენს კათედრის სწორ ხედვასა და გამოცდილებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის დაწყებითი საფეხურის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების საფუძველზე აშკარაა, რომ მართალია, საგნობრივი კურიკულუმებით გაწერილია მხოლოდ კომპლექსური დავალების იდეები, მაგრამ მასწავლებელთა გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა მათი მზაობა მომავალი სასწავლო წლისთვის გამოიყენონ წინარე გამოცდილება ან გაიზიარონ კოლეგების მიერ შექმნილი ახალი კომპლექსური დავალებების იდეები. მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიური შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას - მაგალითად: მოსწავლეთა მიერ გამოცემული ხელნაწერი ჟურნალები;

ტექნოლოგიების საგნის მასწავლებელთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა მოსწავლეების შემოქმედებითი პროცესში ჩართვა, მაგალითად, მასწავლებლის დავალებით მოსწავლეებს აქვთ შექმნილი პრეზენტაცია ცნობილი ქართველი ფეხბურთელების შესახებ , მოსწავლეების შესრულებული დავალება მასწავლებელმა წარადგინა და ისაუბრა იმაზე , რომ პრეზენტაციის შექმნამდე , მან გააცნო მოსწავლეებს ეფექტური დიზაინის პრინციპები , ფერთა და ტექსტის (ქართული შრიფტების დიზაინის <u>პროდუქტები – ქართული კალიგრაფია :· Georgian Calligraphy</u>) შერჩევის მეთოდები. ასევე მასწავლებელმა ახსენა პროექტი ჯანსაღი ცხოვრება , ამ პროექტის ერთ-ერთი აქტივობა იყო ჯანსაღი ცხოვრების წესების შესახებ ფლაერების დამზადება - რაც ასევე მოსწავლეების შემოქმედებითობაზე მიუთითებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

დაწყებითის კათედრაზე საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა. სკოლის მიერ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ამ ყოველივეს უზრუნველსაყოფად სკოლას მიაჩნია, რომ რელევანტურია ისეთი აქტივობების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, როგორებიცაა: კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, ვარაუდების ღრუბელი, ფილმის ჩვენება და განხილვა. ასევე სკოლა მოსწავლისათვის არაფორმალური განათლების შეთავაზებისას, ყოველი ახალი საკითხის შემეცნებით ემყარება მისთვის არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს ხდის ახალს, რის უზრუნველყოფას იგი კვლავ პროექტებით

სწავლებით გეგმავს. სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ.
დანარჩენ საგნებშიც დაწყებითის კათედრა ირჩევს, რომ სასწავლო პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. კონსტრუქტივიზმის შემდეგი პრინციპი - წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის აგება უზრუნველყოფილია, რადგან კომპლექსური დავალების ბუნება თავისთავად ითხოვს მოსწავლისგან წინარე ცოდნას, ყოველი მომდევნო ნაბიჯის წარმართვა წინა ნაბიჯების დროს მიღებულ ცოდნას უკავშირდება. სასწავლო თემები ისეა შერჩეული მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტის გათვალისწინებით, რომ დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა წარმოადგენდეს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. მასწავლებლებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ მათთვის წინარე ცოდნის გათვალისწინება ყველაზე ეფექტური გზაა ახალი ცოდნის დასაშენებლად. არსებულ ცოდნაზე ახლის დაშენებით, პედაგოგები ძველ ცოდნას განამტკიცებენ და ამით ახალ ცოდნას უფრო იოლად აღსაქმელს ხდიან. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, მათი ხედვით, ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს გახდის ახალს.

საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს აქვთ განხორციელებული სასკოლო პროექტები, რომელთა განხორციელების გამოცდილებას გამოიყენებენ მომავალი სასწავლო კურიკულუმის შემუშავებისას და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. კათედრას მიეცა რეკომენდაცია, რომ განაგრძონ მსგავსი პრაქტიკა და მეტი მრავალფეროვანი, არაფორმალური აქტივობები, პროექტები დაგეგმონ და განახორციელონ იმგვარად, რომ ნაცნობ კონტექსტში მოხდეს ახალი ინფორმაციის მიწოდება, ნაცნობი თემატიკის ირგვლივ ახალი ცოდნის კონსტრუირება, თანამშრომლობის გაძლიერება, სასკოლო საზოგადოების მეტი ჩართულობა, გამჭოლი კომპეტენციების და ღირებულებების განვითარება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

დაწყებითი საფეხურის სწავლა–სწავლების მიზნები, რაც კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან. კომპლექსური დავალება ასევე მოიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ლაიტმოტივად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს. სკოლა საუბრობს და გეგმავს, ისე გაწეროს კურიკულუმი გაწერილი კომპლექსური

დავალებებით, რომ მუშაობის პროცესში მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების მნიშვნელოვნად იქნას გააზრებული. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

ბუნებისმეტყველების პედაგოგების მიერ შექმნილი და ასევე მოძიებული, საკლასო სივრცეში დანერგილი და ნაწილობრივ მოდიფიცირებული მატრიცები იძლევა საშუალებას, რომ დავასკვნათ: აქცენტი კეთდება სწავლის სწავლებაზე, რადგან მოსწავლეებს კომპლექსურების აქტივობებში უწევთ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, სხვადასხვა სახით წარდგენა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება და რაც მთავარია ცოდნის ტრანსფერი ყოველდღიურ ცხოვრებაში. წარმოდგენილი მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები თვითრეფლექსიის და სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას იძლევა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია სავალდებულო თემების შესაბამისი საკითხები, სამიზნე ცნებები, რომლის დაფარვისკენაც არის მიმართული კომპლექსური დავალების იდეები, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა მათი მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, რათა მოსწავლეებმა შეძლონ დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა; ეფექტიანი სასწავლო პროცესი მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე იქნება ორიენტირებული.

ტექნოლოგიების სწავლის პროცესში მეტაგოკნიტური უნარების განვითარების კარგი მაგალითია შემდეგი დავალება - ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (emis.ge) **"დაიცავი შენი მონაცემები",** სადაც მოცემულია ბევრი მეტაკოგნიტური კითხვა, რომლებზეც მოსწავლეებმა დავალების შესრულების პროცესში ეტაპობრივად უნდა გასცენ პასუხი. ასევე იმავე დავალებაში მოსწავლეებმა დამოუკიდებლად უნდა მოიძიონ ინფორმაცია და შექმნან პრეზენტაცია „ფიშინგის" შესახებ. მოსწავლეები ნაბიჯ-ნაბიჯ ახდენენ ცოდნის კონსტრუირებას და ბოლოს ამთლიანებენ მიღებულ ცოდნას.

დაწყებით საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლა-სწავლების პროცესის დროს აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენასა და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. კერძოდ, მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. სკოლა ეროვნულ სასაწავლო გეგმაზე დაფუძნებით სასკოლო სასწავლო გეგმაში საუბრობს სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირების აუცილებლობაზე. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. (დეკლარაციული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. სკოლა ფიქრობს, რომ ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას ეფექტური პრაქტიკაა დიორამების, პოსტერების, ბუკლეტების, კედლის გაზეთების შექმნა თუ პროექტების განხორციელება. თვლიან, რომ სამომავლოდ შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე, რასაც საფუძვლად დაედება კომპლექსური დავალებებით სწავლება

კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარაციული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში.

დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება , საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას, სამწუხაროდ, არ აქვს დიდი გამოცდილება კომპლექსური ტიპის დავალებების შემუშავების და გამოყენების სწავლა-სწავლების პროცესში, მაგრამ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოებიდან და განხორციელებული პროექტების ნიმუშებიდან იკვეთება დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გაკეთებული აქცენტები და ჩანს კათედრის მზაობა, რომ შემდეგ სასწავლო წელს აქტიურად გამოიყენონ კომლექსური დავალებები სასწავლო პროცესში .

ტექნოლოგიების კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობა, რომელიც წინა ინდიკატორშიც ვახსენეთ, https://school.emis.ge/Computer-Science/Class-5/Protect-your-data-24/18.html ცოდნის სამი კატეგორიის კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ: მოსწავლე იძენს ცოდნას პირადი ინფორმაციის შესახებ , უნარს - დაიცვას პირადი ინფორმაცია და გაიაზროს მოსალოდნელი საფრთხეები და პირადი ინფორმაციის დაცვის აუცილებლობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავალებებით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე. ეს კი თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებასა და არგუმენტებს. პედაგოგები ეხმარებიან მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში. რათა მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები. წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მასწავლებლები მიმართავენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, დაკვირვება. დაწყებითების კათედრაზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. ამისათვის სკოლა გეგმავს, კურიკულუმში გაითვალისწინოს და შეიმუშაოს ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც მოახდენს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. რისთვისაც გარდა კომპლექსური დავალებების განხორციელებისა, გეგმავს პროექტით სწავლებას. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები საუბრობენ საგანში ნასწავლი მასალის სხვა საგნებთან დაკავშირების მნიშვნელობაზე, რაც ამავე დროს ტრანსფერის უნარების განვითარებას უწყობს ხელს და ცოდნათა ორგანიზებას უზრუნველყოფს ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილებითა თუ ექსკურსიებით. შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლის ხედვები აღნიშნული საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობებით რეალიზების შემთხვევაში მოახდენს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის დაწყებითი საფეხურის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია ისე, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლება შუალედურ მიზნებად არის მოაზრებული, შესაბამისად, გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში, როგორც საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, ასევე ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს გამოთქვეს მზაობა, რომ ისინი საგნობრივ კურიკულუმებში ასახავენ ისეთ კომპლექსური დავალებებს, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება სწავლა-სწავლების პროცესში

მიღებული ცოდნა დააკავშირონ ყოველდღიურ ცხოვრებასთან. პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ გააგრძელებენ ისეთი კომპლექსური დავალებების შერჩევას, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებით საფეხურზე მოქმედ კლასებში კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს.

ტექნოლოგიებში ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ წინა ინდიკატორების შეფასებისას გამოყენებული დავალება - https://school.emis.ge/Computer-Science/Class-5/Protect-your-data-24/18.html, რომელშიც კარგად ჩანს რეალური (ცხოვრებისეული) და ვირტუალური (ციფრული) სამყაროს შორის კავშირი. ასევე კომპიუტერული ზღუდის Firewall -ის საკითხი ქსელების უსაფრთხოების საკითხია და პირადი ინფორმაციის დაცვასთან თითქოს არანაირ კავშირში არ არის , მაგრამ ამ ზღუდის არსებობა კომპიუტერს იცავს ქსელიდან შემოსული ვირუსებიდან და პირად კომპიუტერში სხვა ადამიანის შეღწევისაგან . დავალების ეს კომპონენტი ცოდნის ორგანიზების მაგალითია , ყველა საკითხი კიბერუსაფრთხოებას ეხება, მაგრამ სხვადსხვა ჭრილში: პირადი ინფორმაციის დაცვა , არსებული საფრთხეები და ქსელის დაცვა.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში, მართალია, არ არის გაწერილი მომავალი სასწავლო წლისთვის ინტეგრირებული დავალებები, მაგრამ გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ბუნებისმეტყველება);
- კათედრის სხდომის ოქმი;
- მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა (ბუნებისმეტყველება);
- შემაჯამებელი დავალების კომპონენტის შეფასების რუბრიკა (კომპიუტერული ტექნოლოგიები);

- https://school.emis.ge/Computer-Science/Class-5/Protect-your-data-24/18.html .

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილ მასალაში ჩანს, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების საგნობრივ საკითხებთან მიმართება. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება მარტივიდან რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ განვითარების პრინციპით. კათედრის მიერ შემოთავაზებული კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, რიგ შემთხვევებში მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კონტექსტ-მაგალითები, რაც მოსწავლეს გაუადვილებს კონტექსტში დავალების არსის გააზრებას. დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს ასევე დაეხმარებათ სწორად შეთავაზებული სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსები. სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისათვის პედაგოგები კლასის ყველა მოსწავლეს დაეხმარებიან

კომპლექსური დავალების შესრულებაში და საჭიროების შემთხვევაში შეადგენენ მოდიფიცირებული დავალების პირობას. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზების შესაძლებლობა იკითხება პედაგოგებთან გასაუბრებისა და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან.

მართალია, დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმის ჩარჩოებში არ არის გაწერილი მკვიდრი წარმოდგენები, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა , რომ მათ კარგად აქვთ გააზრებული აღნიშნული საკითხი და მოსწავლეებთან მუშაობისას აუცილებლად გაითვალისწინებენ მათ ჩამოყალიბებას ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში. კურიკულუმთან მიბმული კომპლექსური დავალებების მატრიცებში ნათლად ჩანს რომელი სამიზნე ცნების რომელი მკვიდრი წარმოდგენას გამოუმუშავებს მოსწავლეს გრძელვადიან პერსპექტივაში. ასევე საკითხის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების სფეროების გააზრების საშუალებასაც იძლევა. მათ გაგვიზიარეს გამოცდილება თუ როგორ ამუშავებენ სამიზნე ცნებებს კომპლექსური დავალებების დახმარებით სასწავლო პროცესში და გამოთქვეს მზადყოფნა ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების სრულყოფისთვის.

ტექნოლოგიების სწავლების პროცესში რომ კურიკულუმში მითითებული საგნობრივი საკითხები ემსახურება სამიზნე ცნებების დამკვიდრებას, შეგვიძლია გავამყაროთ შემდეგი მაგალითით. განვიხილოთ მე-3 კლასის დავალება : მარტივი ანიმაციის შექმნა Scratch-ში (პერსონაჟი მივიდეს დანიშნულების ადგილას) - ქვეცნებები , თემატური კითხვები ემსახურება შუალედური მიზნების მიღწევას კომპლექსური დავალებების მეშვეობით და საგნობრივი საკითხების რელევანტურია. მე-3 კლასისთვის: სამიზნე ცნება - პროგრამული კოდი (ალგორითმი) - ესგ-ის სტანდარტის შესაბამისია . ქვეცნება : ალგორითმი , ციკლი ,მოვლენები - მკვიდრი წარმოდგენების შექმნის მაგალითია და საგნობრივი საკითხი - ვიზუალური პროგრამირების გარემოში (მაგ.: Scratch) წინასწარ შემუშავებული ალგორითმის მიხედვით მარტივი ანიმაციის შექმნა; ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ცოდნის კონსტრუირების პროცესის ამსახველია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

<u>სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლაში საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.</u> კერძოდ, მასწავლებლები საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. სკოლა სასწავლო პროცესში იაზრებს, რომ სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან. ამისათვის სკოლას დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში აქვს ისეთი სასარგებლო აქტივობები, რომლითაც განავითარებენ სოციალურ უნარებს (თანაგრძნობა, ემპათია, ტოლერანტობა). სკოლა აქვს გამოცდილება მოსწავლეების სოციალურ პროექტებში ჩართულობის, სადამრიგებლო საათების მიზნობრივად განხორციელების, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობ სხვადასხვა

ღონისძიების მოწყობის. დაწყებითი საფეხურის დოკუმენტაციის შესწავლისას იკვეთება, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო- ემოციურ განვითარებაზე. დასახელებულია სხვადასხვა აქტივობა , რომლებსაც მიმართავს სკოლა ამ მიმართულებით, ესენია: კლასგარეშე ღონისძიებები, სადაც ყველაზე მეტად ხდება მოსწავლეთა დამეგობრება, მზადყოფნა სხვათა დასახმარებლად, სასწავლო - შემეცნებით ექსკურსიები, ასევე დისკუსიები/დებატები, სასკოლო/საკლასო ესეების კონკურსი, ნახატების კონკურსი, სპორტული შეჯიბრებები, საინტერესო, ცნობილ და პოპულარულ ადამიანებთან შეხვედრები, პროექტები. ამას გარდა , სკოლას შემუშავებული აქვს ,,სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესები" პირველ კლასელთათვის, რომელშიც კარგად ჩანს თუ როგორ განსაკუთრებული მნიშვნელობას ანიჭებენ სკოლაში შემოსვლის დღიდან მოსწავლეთა ფსიქო- ემოციურ განვითარებას და როგორ ზრუნავენ, რომ შექმნან მათთვის შესაბამისი გარემო. ასევე აღსანიშნავია, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ფარგლებში სკოლაში მოქმედი წიგნის მოყვარულთა წრე, გარდა კითხვისა , რომელიც ხორციელდება თვეში ორჯერ ან სამჯერ, სარეკომენდაციო თემატიკიდან შერჩეულ საკითხებზეც მუშაობს. მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი, მათი განვითარების დონე და ინტერესების სფერო. მიუხედავად ამისა, კათედრა სამომავლოდ ხედავს საჭიროებას მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიზნით სასკოლო საზოგადოება უფრო გააქტიურდეს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში მართალია ასახულია კომპლექსური დავალების მხოლოდ რამდენიმე იდეა, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, მათი მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების დროს მოსწავლეები დიდი ინტერესით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში, მათთვის ყველაზე სახალისო პროდუქტის შექმნაა, ასევე ხალისით ერთვებიან კომპლექსური დავალების განხორციელების დროს საინტერესო აქტივობებში, მსჯელობენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აცნობიერებენ სხვების პოზიციას და შესწავლილი საკითხიდან გამომდინარე გამოხატავენ ემპათიას სხვების მიმართ, თანაკლასელებთან ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უმკლავდებიან სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, პერსონალურ თუ სოციალურ ქცევებს შორის აკეთებენ ეთიკურ და კონსტრუქციულ არჩევანს. ვფიქრობ ამგვარი ქმედებები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რაც ვლინდება კომპლექსური დავალების განხორციელების დროს.

ტექნოლოგიების სწავლების პროცესში მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშეწყობის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ პროგრამა 3d paint-ში საყვარელი პროგრამის აიქონის შექმნა, საკუთარი ინტერფეისის შექმნა - პიროვნულ განვითარებასთან და თავისუფლებასთან არის კავშირში , კომპლექსური დავალება - " თავისუფალი თემა" პრეზენტაციის შექმნა პიროვნების აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან და ადამიანის უფლებებთან არის დაკავშირებული.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი კონტექსტი პირდაპირ დაკავშირებულია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებასთან. მოსწავლის თვითკონტროლი და ორგანიზებულობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე ცნებაა. კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების

საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობენ მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გუნდურობა, შეჯიბრში მონაწილეობის დროს თვითკონტროლი, ემოციის მართვა, ურთიერთპატივისცემა განუყოფელი ნაწილია სპორტის სასწავლო პროცესის. ამასთანავე სამომავლოდ, სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს და გაამრავალფეროვნოს სასწავლი პროცესი სხვა ტიპის არაფორმალური აქტივობებით და ამით ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თვითცნობიერების, თვითგამოხატვის, თვითრეგულაციის, სოციო-ემოციური და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლაში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვანია როგორც განმავითარებელი , ისე მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები. თუმცა თითოეული საგნის ფარგლებში შეფასებასთან დაკავშირებით განსხვავებული ვითარება გამოიკვეთა. კერძოდ კი, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. შეფასების ჰოლისტურობის მხარდასაჭერად სკოლას აქვს ისეთი აქტივობები და მეთოდები შერჩეული, რომლებიც გულისხმობს თეორიული ცოდნის მიწოდებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი დავალებების გათვალისწინებას, ვერბალურ თუ წერილობით კომენტარებს, შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. კათედრა მომდევნო სასწავლო წლისათვის გეგმავს გაითვალისწინოს, რომ შეფასების სისტემა უფრო დასახვეწია და შესაქმნელია შეფასების რუბრიკები, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ფუნქციურ- კომპონენტურ უნარები. ამისათვის 2023-2024 სასწავლო წლისთვის მუშაობს სხვადასხვა დონის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების 5 დონის მიხედვით შექმნაზე, გეგმავს სოლო ტაქსონომიის გამოყენებას და ამის მიხედვით მოსწავლეების მხარდაჭერას სასწავლო პროცესის წარმართვაში.

საბუნებისმეტყველო საგნების კათედრის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი კლასების განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები მიემართება კომპლექსურ დავალებებს და უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ნარატივში ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით. კათედრების მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არ არის ჩაშენებული და არ ჩანს შეფასების პრაქტიკული ნიმუშები, ხერხები, სტრატეგიები, რუბრიკები , თუმცა , რადგან აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების

მართებული იდეები და კათედრასთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა წარმოაჩინეს გამოცდილება , ცოდნა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების კუთხით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში კი მოქმედი სასკოლო კურიკულუმით სკოლის შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასაწავლო გეგმას. შეფასება სასწავლო პროცესშია ინტეგრირებული და მოსწავლისათვის ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების მექანიზმად და მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად, სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს. შეფასება ცოდნის აგებასა და გამოყენებაზეა ფოკუსირებული, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტაციას მოსწავლის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე; შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს და გამომდინარეობს მათგან. ასეთი შეფასება ეხმარება მოსწავლეებს განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები.
ტექნოლოგიებში შეფასების საკითხთან დაკავშირებული წარმოდგენილი დოკუმენტაციის სიმწირის გამო (საგანში მხოლოდ ერთი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა) და მასწავლებელთან ინტერვიუს შედეგად , შეფასების სისტემაზე ვერ ჩამოყალიბდა მყარი და არგუმენტირებული მოსაზრება , თუმცა ნათლად ჩანდა ამ საკითხზე მუშაობის მზაობა.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც საჭიროებს დახვეწას და რომლის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. მასწავლებელს გააზრებული აქვს, რომ, მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით, ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, სწავლა/სწავლების პროცესი. შეფასების ჰოლისტურობის მხარდასაჭერად სკოლას აქვს ისეთი აქტივობები და მეთოდები შერჩეული, რომლებიც გულისხმობს თეორიული ცოდნის მიწოდებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას.

სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს მოსწავლეთა შეფასება სადიაგნოსტიკო წერების ანალიზის საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

<u>სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლაში შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.</u> მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ შეფასების კრიტერიუმებში უნდა აისახებოდეს მოსწავლეთა ძალისხმევა, პასუხისმგებლობა, ჩართულობა და გადმოცემის შესაძლებლობა, რათა მოსწავლესა და სასკოლო საზოგადოებას ჰქონდეს განცდა, რომ

შეფასება ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდოა. კერძოდ, სკოლა საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დასტურია შეფასების სისტემის შემუშავებული მეთოდოლოგია. მტკიცებულებად სკოლის მიერ წარმოდგენილია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რაც უნდა შეათანხმონ და დაამტკიცონ პედაგოგიურ საბჭოზე. კათედრაზე ამ ინდიკატორის უზრუნველსაყოფად ისინი მოსწავლეებს რთავენ შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, წინასწარ აცნობენ მათ მოსწავლეებს, რუბრიკებს აკრავენ საკლასო ოთახებში.

მასწავლებელთა მიერ მათემატიკის კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი შეფასების სისტემა. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხდება იმის მიხედვით თუ რამდენად შეესაბამება შერჩეული ინსტრუმენტი თემის მიზნებს, მოსწავლის საჭიროებებს, სწავლა-სწავლების რესურსებს. ვფიქრობ, სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემა ვალიდურია სასწავლო მიზნებთან მიმართებაში. სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემა სანდოა, დავალების პირობები შესაბამისობაშია კრიტერიუმებთან.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს, მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპებს, აკადემიური მიღწევის დონეებს და საგნის სემესტრული ქულის შემადგენელ კომპონენტებს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გაცდენებს და შეფასებას, გამოცდის ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევებს. მომდევნო სასწავლო წელს სკოლა ირჩევს შეფასების სამკომპონენტიან სისტემას . კათედრა შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს სხვადასხვა კომპლექსური ტიპის დავალებების შესაფასებლად და ამ პრინციპების შეფასების დროს იხელმძღვანელებს შემდეგი პრინციპებით: შეფასება უნდა იყოს სანდო, რაც ნიშნავს, რომ შეფასება არის მდგრადი და რეალისტური; შეფასება უნდა იყოს ვალიდური, რაც გულისხმობს იმას, რომ ვაფასებთ, ზუსტად იმას, რის შეფასებაც გვაქვს განზრახული. დოკუმენტაციის შესწავლისას და საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები არა მხოლოდ იცნობენ შეფასების პრინციპებს, არამედ აქვს მზაობა ამ პრინციპების პრაქტიკულად გამოყენების.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების შეფასების რუბრიკები უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს რეფლექსიას მათი სწავლის პროცესზე. აღნიშნულ რუბრიკებს შეიმუშავებენ მასწავლებლები, განიხილავენ და თანხმდებიან კათედრის სხდომაზე, ხოლო პედაგოგიური საბჭო მათ ამტკიცებს. სკოლას აქვს შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გამოცდილება. ასევე, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს სასწავლო პროცესში გამოყენებული თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების სისტემა. მართალია მასწავლებლებს შეფასების რუბრიკები წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით აქვთ შექმნილი, მაგრამ გეგმავენ მომდევნო წლისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე იმუშაონ სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორებზე დაყრდნობით, ხოლო განმავითარებელი შეფასებები მოსწავლეებს მისცენ საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად ცნების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით.

ტექნოლოგიების მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია, თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვ.) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. შეფასების გამჭვირვალობის პრინციპის დაცვაა, შეფასების სხვა პრინციპების შესახებ მასწავლებელს აქვს სწორი აღქმა და გამოხატავს მზაობას ამ საკითხებში უკეთესად გარკვევის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლას არ აქვს წარმოდგენილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტი, სადაც რეალურად იქნება ასახული მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი, ვინაიდან იგი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაცია იმისა, თუ რამდენად ასრულებს სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მოსწავლეთა მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. თუმცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ ისინი ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების საშუალებით საგნების მიხედვით თემის, თავის, სემესტრის ან საკითხის დასასრულს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით სკოლა აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, მაგალითად: მონაცემთა შეგროვების მიზნით იყენებენ ჩანაწერების დღიურს, რომელიც მასწავლებლებს ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა მხარდაჭერაში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებისას სკოლა გამოთქვამს მზაობას, რომ ისინი მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის შექმნიან შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტს.

სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში ვერიფიკაციის მექანიზმების უზრუნველსაყოფად განსაზღვრულია 2023 წლის 29 თებერვლი.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

სკოლამ ვერიფიკაციის მექანიზმი შეიმუშაოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით .

სკოლა იცავს დოკუმენტების წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არქივში 3 წლის განმავლობაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2022-2023);
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი მტკიცებულებებზე დაფუძნებით გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება სასკოლო საზოგადოების

ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი საათობრივი ბადე. საგნობრივი პროგრამების შინაარსი, რაც გათვლილია მოსწავლეთა პიროვნული ზრდისთვის. მნიშვნელოვანია, რომ .სკოლაში არსებული შეფასების სისტემა ემსახურება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. ხოლო მოსწავლეთა შეფასება ხდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი კომენტარით. საგნობრივ კათედრებს შექმნილი აქვთ შეფასების კრიტერიუმები და იგი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით და სპეც. მასწავლებლის რეკომენდაციით მასწავლებლებს აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს უქმნის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. მოსწავლეთა მცირერიცხოვნებიდან გამომდინარე სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო, მიმღებლობა და ღიაობა, ეს კი სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით აქტიურია კომუნიკაცია მშობლებთან, მათთან საუბარი ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და შედეგების გაუმჯობესებას. სკოლაში სასწავლო პროცესის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოდ რეალიზებისათვის სკოლას ესახება კოლეგების ურთიერთანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის“ გამოყენებას ეფუძნება. ამ დროს ხდება ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი, ჯანსაღი კრიტიკა და ეფექტური უკუკავშირი, ასევე გამოცდილების გაზიარება და რეკომენდაციების გაცემა. აღნიშნულ პროცესს აძლიერებს USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამაში ჩართულობა. პროექტის ფარგლებში მასწავლებლები შესწავლილ მასალას ნერგავენ და უზიარებენ ერთმანეთს სამუშაო შეხვედრების სახით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის მიერ მოსწავლის შედეგებზე დაკვირვებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში. დაწყებით საფეხურზე პედაგოგები საუბრობენ, რომ გათვალისწინებულია ეფექტურად დაგეგმილი გაკვეთილები, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი სხვა ღონისძიებები, რომლებიც პოზიტიური დამოკიდებულების განმტკიცებას შეუწყობს ხელს. სკოლა კარგად აცნობიერებს, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და სკოლა ვალდებულია პროცესები წარმართოს მასზე ორიენტირებულად. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო საგნობრივ პროექტებში, ისინი მუშაობენ როგორც გუნდურად ან წყვილებში, ასევე დამოუკიდებლადაც. ინფორმაციას მოიძიებენ სხვადასხვა ხერხით, მათ შორის ტექნოლოგიების გამოყენებით. სკოლაში პოზიტიური გარემო ხელს უწყობს მოსწავლეებს განახორციელონ მრავალფეროვანი დავალებები, რაც დაფუძნებულია თანამშრომლობაზე, ნდობასა და მიმღებლობაზე. მაგალითისათვის სკოლას მოჰყავს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის ისტორიის მასწავლებელთან ერთობლივი მუშაობა. მათ მიერ დედა ენის დღესთან დაკავშირებით ჩატარებული ღონისძიების პრეზენტაცია, რომლის მიზანი იყო 1978 წლის 14 აპრილს მომხდარი მოვლენების და ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის დაცვის ისტორიული მნიშვნელობის შემეცნება მოსწავლეთათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუს დროს გამოთქმული მოსაზრებები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სისტემატიურად ხდება კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა.

სკოლაში სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად, სასკოლო საზოგადოება სრულად ერთვება. თითოეული წევრი სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს პროცესებს, განსხვავებულად აფასებენ და მათი გადაჭრის განსხვავებულ გზას ხედავენ. თანამშრომლობა და გუნდურობა ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუს დროს გამოთქმული მოსაზრებები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია უსაფრთხოება, სწავლა სწავლების პროცესი და მისი მხარდაჭერა, ინტერ პერსონალური და პროფესიულ ურთიერთობები, მართვის სტილი, ინსტიტუციურ გარემო, როგორც ავთენტური სივრცე სასკოლო საზოგადოებისათვის. პოზიტიური სასკოლო კლიმატი ძლიერ თანამშრომლობით კავშირს ამყარებს სასკოლო საზოგადოებას შორის, იყენებს გაზიარებულ ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლა იყენებს პოზიტიურ სასკოლო კლიმატის ფაქტორებს. კერძოდ, აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა.

პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად სკოლა გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს. კერძოდ, სამოქალაქო აქტივობებისა და პროექტების წახალისება მოსწავლეებში ძირითადი მორალური ფასეულობების დამკვიდრების მიზნით; ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებები; თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება; მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები და სხვა.

ეს აქტივობები ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. იგი ასახულია არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, ყველა ზემოთ მოცემული განზომილებების მიხედვით. მაგ: მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
■ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში ვკითხულობთ შემდეგს: „სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.“ **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება. სკოლის ხარისხის მართვის დოკუმენტშიც ვკითხულობთ შემდეგს: „მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ“. მასწავლებლებთან გასაუბრებით ასევე დგინდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვას და სასკოლო საზოგადოების საჭიროებებზეა მიმართული. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ მოწოდებულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში ვკითხულობთ: „არსებული სასწავლო პროგრამების /სადამრიგებლო გეგმების მონიტორინგი, მისი გაუმჯობესების მიზნით, ეფუძნება სკოლის დირექციის და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას/ კათედრების/დამრიგებლების ანგარიშგებას და ამ ინფორმაციის გამოყენებას სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის“ . კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში საუბარია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზებას მოსწავლეთა ჩართულობის და შედეგების მიხედვით. ასევე მასწავლებლებთან საუბრისას ასევე მასწავლებლებთან საუბრისას იკვეთება, რომ მონოტორინგის და შეფასების არსებული პრაქტიკა ნამდვილად ეხმარება მათ გადაჭრან სწავლა-სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემები და სამომავლოდაც აპირებენ არსებული პრაქტიკის გაგრძელებას. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სახის ინსტრუმენტს და სტრატეგიას მოსწავლეთა შესაფასებლად: მიმართავენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას, იყენებენ კომპლექსურ, თემის შემაჯამებელ და ყოველდღიურ საკლასო და საშინაო დავალებებს, თუმცა მომავალში სკოლა გეგმავს კათედრების მიერ მოდიფიცირებული შეფასების რუბრიკების გამოყენებას და ასევე სკოლა აპირებს სადიაგნოსტიკო შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტის. ეს კი გვაძლევს იმისი თქმის შესაძლებლობას, რომ სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და აღნიშნული პრაქტიკა მომავალშიც გაგრძელდება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების, მათი მკვიდრი წარმოდგენების, თემატური შედეგების, კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებით, შეფასება მიზანმიმართულია 6 ფუნქციურ-კომპონენტური უნარის განვითარების ხელშეწყობაზე. დოკუმენტებში გაწერილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებაც ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება იმის შესაბამისად, რამდენად მოახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს, აკეთებენ სხვადასხვა ტიპის დავალებებს, წერენ ქვიზებს, ახდენენ პრეზენტირებას და ა.შ ეს ყველაფერი კი აძლევს მასწავლებელს საშუალებას უფრო მეტი გაიგოს მოსწავლის კოგნიტურ უნარებსა და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. სამომავლოდ ეს პრაქტიკა შენარჩუნდება. დამკვიდრებული პრაქტიკა იძლევა საფუძველს, დავასკვნათ რომ შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ მასწავლებლები შეფასებისას ცდილობენ გაითვალისწინოს გარე ფაქტორები, რომელიც ახდენს გავლენას მოსწავლის შედეგებზე. ასევე ირკვევა და დოკუმენტაციიდანაც ჩანს, რომ პედაგოგიურ საბჭოზე და კათედრის სხდომებზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა, ეს კი იძლევა იმისი თქმის შესაძლებლობას, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა აღნიშნულ საკითხს. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- ბრძანება N36 - სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო

კურიკულუმის შესამუშავებლად; მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება შემდეგი - სკოლას აქვს მზაობა შექმნას გარკვეული ტიპის მექანიზმი/საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებას და მის მორგებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებზე. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის წარმოდგენილი ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება. სკოლას აქვს მზაობა, საჭიროებისამებრ დაგეგმოს და განახორციელოს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო ცვლილებები. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ბრძანება N36 - სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- დაწყებითი საფეხური მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

  ■ შეესაბამება

  ☐ მეტწილად შეესაბამება

  ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

  ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - <u>ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;</u>

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მოწოდებული დოკუმენტაცია და საბაზო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. საბაზო საფეხურის საგნობრივი ჯგუფების პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს, მსჯელობენ მათთვის საინტერესო საკითხებზე და მიდიან კონსესუსამდე. შეხვედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა კლასებისა და მოსწავლეთა სუსტსა და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს იგეგმება, მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. გასაუბრების პროცესი მასწავლებლები საუბრობენ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, ხოლო მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილ იქნა გამოკითხვის მეთოდით. მათი უკუკავშირების საფუძველზე დაიგეგმა რიგი აქტივობები, თუმცა სკოლას ამის ამსახველი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია.

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის ზოგადი ჩარჩო. სამომავლოდაც სკოლა გეგმავს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში ყოველთვის ასახოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები. სკოლა გეგმავს გამართონ შეხვედრები მოსწავლეებთან და მშობლებთან, დაურიგონ კითხვარები, დააკვირდნენ პროცესს და კურიკულუმი განავითარონ მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, აგრეთვე საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, ასევე გათვალისწინებულია მშობლის ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს, მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ამის დასტურად, სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კათედრის სხდომის ოქმები, სადაც ასახულია კურიკულუმის შემუშავების პროცესი . აღსანიშნავია, რომ მთელ სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს ამ საკითხის მნიშვნელობა და სამომავლოდ გეგმავს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში (რომელიც წარმოდგენილია ზოგადი ფორმულირებებით) მკაფიოდ იქნას გაწერილი სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაცია, მშობელი, თემი) ინტერესების, პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმის შემუშავების პროცესი სკოლაში ერთნაირი მეთოდოლოგიით მიმდინარეობს და მის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეთა როლები შემდეგნაირადაა გადანაწილებული: პედაგოგების ვალდებულებები: - უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით; უნდა მიიღოს მონაწილეობა კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. კათედრის თავმჯდომარის ვალდებულებები: უნდა შეათანხმოს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების / სასწავლო პროცესის შესახებ; უნდა შეაგროვოს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალები და ფასილიტაცია გაუწიოს კათედრის სხდომებს; უნდა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, დათქმულ ვადებში სკოლის დირექციას უნდა მიაწოდოს შეთანხმებული ინსტრუმენტების საფუძველზე მომზადებული მასალები, რომლებიც სასწავლო პროცესის შესახებ შეიცავს ინფორმაციას; მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. სკოლის დირექცია - კურიკულუმის დანერგვის პროცესში სკოლის დირექციის ფუნქციაა უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენებენ საკომუნიკაციო არხებს: ელექტრონული ფოსტა; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; სოციალური მედია; ბეჭდვითი მასალები; საჯარო ღონისძიებები . საკომუნიკაციო არხები დაეხმარება

უფრო მეტად ჩართოს მოსწავლეები და მშობლები მათი კომპეტენციებისა და ინტერესების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდება სასკოლო კურიკულუმის და მისი დამხმარე მასალების ხელმისაწვდომობის გაზრდა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის (სკოლის მისია და ხედვა, საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, ფორმალური და არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალებები და ა.შ.). ამისათვის მოხდება სოციალური გვერდების, სადამრიგებლო საათის, მშობელთა კრებების, მშობლის ბარათების გამოყენება. სკოლა მომავალში იზრუნებს, გამონახოს სხვადასხვა ფორმა და შეიმუშაოს მეთოდოლოგია მშობელთა ჩართულობის გაზრდისთვის მიმდინარე პროცესებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები ;
- კურიკულუმის შემუშავების ამსახველი ფოტო მასალა, კათედრების მიხედვით;
- კათედრის შეხვედრების ოქმები;
- სკოლის სოციალური გვერდი.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის კონკრეტული შესაძლებლობები და ინტერესები. საფეხურზე არსებული სხვადასხვა კლასის ჩარჩო ცხრილებში შევსებულია როგორც სავალდებულო ველები: თემები, ტექსტი/ტექსტები (კონტექსტ-მაგალითები), სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის; ასევე არასავალდებულო ველები: სამიზნე ცნება / ქვეცნებები, საკითხები და კომპლექსური დავალებების იდეები. მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლა იაზრებს, მოსწავლეზე ორიენტირების პროცესისათვის გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზა შუალედური მიზნებით ისე უნდა იყოს დაფარული, რომ სწავლა–სწავლების პროცესში ხორციელდებოდეს კომპლექსური დავალებების შესრულება. ამ თვალსაზრისით კათედრაზე კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეების მიხედვით მკაფიო ხდება, რომ იგეგმება კომპლექსურის დანერგვა თითოეულ კლასში. შესაბამისად სწავლებისას ისინი ითვალისწინებენ დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. სკოლასთან გასაუბრებისას მკაფიო გახდა, რომ ახალი სასწავლო წლის

დაწყებამდე დაგეგმილი კომპლექსურებით უზრუნველყოფს თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვას საგანში. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით, მათ ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და გააკეთეს აქცენტები კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. საბუნებისმეტყველო კათედრის წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, სასწავლო მასალამ ნიმუშების სახით (განმავითარებელი შეფასებები, თვითშეფასების, თანაშეფასების , გასასვლელი და შესასვლელი ბარათები/ კითხვარები) და ინტერვიუმ მასწავლებლებთან წარმოაჩინა კათედრების სწორი ხედვა და მზაობა. კათედრებმა გამოამჟღავნეს სტრატეგიების ,მათ შორის მეტაკოგნიციის განვითარების და ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების ცოდნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების განსაზღვრისათვის.შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმში წარმოდგენილი მრავალფეროვანი თემები და თემის ფარგლებში გაწერილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. დავალებები, რომლებითაც მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და სრულად წარმოაჩინოს საკუთარი თავი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც თავისთავად გულისხმობს სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებას, მოსწავლის წინარე ცოდნიდან ნაბიჯ-ნაბიჯ მისვლას ახალი ცოდნის აღმოჩენამდე. შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული

სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში 21-ე საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. ასევე მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ არაფორმალური განათლების მიზნით მოსწავლეთა მიერ შექმნა ხელნაკეთი წიგნები, ფუნქციონირებს ლიტერატურული წრე „ ალგეთელები“, მოაწყო ღონისძიება „ბოროტსა სძლია კეთილმან...“ „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესში.
მათემატიკის მე-7 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა "ატრაქციონების მაკეტის მომზადებისათვის მათემატიკური მოდელირება ცენტრული სიმეტრიით და მობრუნების კუთხით" მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ ისინი საგნობრივ კურიკულუმებში გამოკვეთენ საკითხთა იმ კლასტერებს და მათ შესაბამის კონტექსტ-მაგალითებს, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლეებისათვის დაგეგმავენ იმ საკითხების კომპლექსურად შესწავლას, რომელიც საგაკვეთილო პროცესში ნაბიჯ-ნაბიჯ გააქტიურებს ისეთ ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ნებელობა, მოქალაქეობა. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მიერ შექმნილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებზე დაყრდნობით დაგეგმონ ისეთი მეტაკოგნიტური სტრატეგიების სასწავლო პროცესში გამოყენება როგორიცაა: თვითშეფასება, შედეგების პროგნოზირება, მსჯელობა, უკუკავშირი, გადამოწმება, ასევე მასწავლებლის და მოსწავლის რეფლექსიები და განმავითარებელი შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

<u>სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო</u> სკოლაში <u>სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.</u> კერძოდ, სასწავლო პროცესი იგეგმება დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომებით. კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, კომპლექსური დავალებები, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას. საბაზო საფეხურზე სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს, რაც მკაფიოდ იკითხება სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში. რაც შეეხება ინკლუზიურ მიდგომებს, ასეთ მოსწავლეებთან მუშაობაში აქტიურად არის ჩართული სპეციალური საჭიროების მასწავლებელი. სსსმ მოსწავლეებისათვის, საგნების მიხედვით შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სწავლება

ხორციელდება აღნიშნული გეგმების შესაბამისად. რის მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში, მესამე კლასის სსსმ მოსწავლისათვის ინტერვენციათა გეგმა, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა. მათემატიკის კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობა , კრიტერიუმები და აქტივობები ფორმულირებულია ისე, რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას აირჩიოს მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებია .

უცხოური ენების - კურიკულუმი დაგეგმილია თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის ინსტრუმენტია კომპლექსური დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს (იგულისხმება არა მხოლოდ სსსმ, არამედ კლასის ნებისმიერი მოსწავლე, თუ დავალების ადაპტირებას საჭიროებს).

საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში საგნობრივ კურიკულუმებში (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) წარმოდგენილია უმეტესწილად სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, და კომპლექსური დავალების იდეები, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს, როგორც თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, ასევე პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ სწავლის პროცესის დროს ისინი ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და შესაძლებლობებზე, მათ ინტერესებზე. მომავალ სასწავლო წელს მოსწავლეებს დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) შესაბამის მათზე მორგებულ სასწავლო რესურსებსა და სასწავლო მასალას შესთავაზებენ, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. პედაგოგებს აქვთ მზაობა მოსწავლეებს მისცენ მათ საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური ტიპის დავალებები..

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. კერძოდ, წარმოდგენილია შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება შეფასება. პედაგოგების მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. სკოლას საბაზო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში ასევე აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, როგორებიცაა: ზეპირმეტყველების, მსჯელობის, ჩართულობის, ჯგუფურ მუშაობაში თვითშეფასების სქემა, ინფორმაციის მოძიების, დამოუკიდებელი მუშაობის, წერითი სამუშაოს შესრულების, მოსწავლეთა თვითშეფასების, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის, დისკუსიის და სხვა. კათედრას აქვს ხედვა, როგორ რეალიზდება სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასებების რუბრიკები პრაქტიკაში და შესაბამისად გეგმავს შესწავლილი თემის მიხედვით განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის შემუშავებას, რომლის შექმნაში ფიქრობენ, აქტიურად ჩართონ სკოლის მოსწავლეები, ხოლო სემესტრული შეფასებისთვის შექმნან და გამოიყენონ სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები.

უცხოური ენების მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აჩვენებს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება; ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე ადგენს მოსწავლის წინარე ცოდნას და წარმოდგენებს; გამოავლენს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; აჩვენებს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. ამ ამოცანების შესრულება ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების - პედაგოგებმა გასაუბრების დროს გამოთქვეს მზაობა გააგრძელონ მუშაობა საგნობრივი კურიკულუმებით (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) დაგეგმილი საკითხებისა და კომპლექსური დავალებების მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნაზე.

ესთეტიკური აღზრდის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრებს აქვთ წინარე გამოცდილება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსის გაგების თვალსაზრისით. განმავითარებელი შეფასების ძირითადი ფორმად იყენებენ ზეპირ კომენტარს. სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს შეფასების სისტემა, შეიმუშავოს ახალი ტიპის რუბრიკები განმსაზღვრელ-განმავითარებელი შეფასებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლაში დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას მასწავლებლები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას, განიხილავენ იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც სექტემბრიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, რაც სკოლაში არსებულ გამოწვევებსა თუ მიგნებებს ეყრდნობა. პედსაბჭოსა და კათედრის სხდომებზე თითოეული მასწავლებლის მიერ წლის ბოლოს წარმოდგენილი ანალიზი იძლევა დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით სამომავლოდ კონსტრუქციული ცვლილებების განხორციელებას. სკოლა ამავდროულად გეგმავს, შემდგომში მეტად ხელმისაწვდომი გახადოს და გააზიაროს კურიკულუმის დანერგვის პროცესები, რათა უფრო ეფექტური გახდეს წინარე გამოცდილებაზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავება. კათედრაზე პედაგოგებს აქვს გამოცდილება, მოსწავლეებზე პირადი დაკვირვებისას, ასევე საკლასო თუ საშინაო დავალებების საფუძველზე დაადგინოს მოსწავლეთა შესაძლებლობები და შეაფასონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მიხედვით.
საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან შეხვედრისას, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას და თითოეული აქტივობის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა წინა სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების გამოცდილება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, იმასთან დაკავშირებით, რომ საგნობრივი კურიკულუმების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებას, კერძოდ კათედრის სამუშაო შეხვედრებზე მსჯელობენ მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზის, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიების შესახებ, იზიარებენ კოლეგების გამოცდილებას. პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი განახორციელებენ საგნობრივი კურიკულუმების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) მონიტორინგსა და შეფასებას და წინარე გამოცდილებიდან გამომდინარე შეიტანენ ცვლილებებს მათში, მაგალითად: ასახავენ უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ასევე გამოხატეს მზაობა სხვადასხვა წყაროების გამოყენებით გააგრძელონ წინარე გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და განახორციელონ ანალიზი, ვინაიდან მისი გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები საბაზო საფეხურზე;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2022–2023);
- ადაპტირებული კომპლექსური დავალებები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი;
- მოსწავლის ნამუშევრის შეფასების რუბრიკა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კერძოდ, სკოლის_მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებლები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. სკოლაში მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება, რისთვისაც სთავაზობენ ფორმალური თუ არაფორმალური ტიპის მრავალფეროვან აქტივობებს. მტკიცებულებებად გამოდგება მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტები და ნამუშევრებით მოფენილი საკლასო ოთახისა და დერეფნის კედლები. კერძოდ, დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეები მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის დემონსტრირებაა და შემდგომშიც ამასვე ისახავს მიზნად. ასევე წარმოდგენილი ინდივიდუალური გეგმები, სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი საკითხები თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტები. ასევე საბაზო კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი -,,დავეხმაროთ დედამიწას", რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა სხვადასხვა საგნის მასწავლებლების ხელმძღვანელობით შექმნეს არაერთი პლაკატი, დახატეს ნახატები, გააკეთეს პრეზენტაცია თემაზე: ,,ჩვენი დროის გლობალური პროექტები". შეიძლება ითქვას, არსებული პრაქტიკა, ასევე ლიტერატურული წრის ფუნქციონირება – „ალგეთელები" და ჩატარებული ღონისძიება „ბოროტსა სძლია კეთილმან..." „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით და სხვა მკაფიო დასტურია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობის წარმოსაჩენად.

მათემატიკის სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა დასტურდება კურიკულუმებში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებით. კერძოდ კომპლექსური დავალება " ატრაქციონების მაკეტის მომზადებისათვის მათემატიკური მოდელირება ცენტრული სიმეტრიით და მობრუნების კუთხით" , " რეკრეაციული ზონის მოწყობა" .

უცხოურ ენებში დაგეგმილი და დაწერილი კურიკულუმის რეალიზება ხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში, სადაც მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებელი ქმნის გარემოს, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასთან, გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე.

-საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საბაზო საფეხურის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) საფუძველზე აშკარაა, რომ მართალია საგნობრივი კურიკულუმებით დაგეგმილია მხოლოდ კომპლექსური დავალების იდეები, მაგრამ მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა მათი მზაობა მომავალი სასწავლო წლისთვის გამოიყენონ წინარე გამოცდილება, ან გაიზიარონ კოლეგების მიერ შექმნილი ახალი კომპლექსური დავალებების იდეები. მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას - მაგალითად: მოსწავლეთა მიერ განხორციელებული სხვადასხვა სასკოლო პროექტები;

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, ძალისმიერი ვარჯიშები, ლაშქრობა) და თეორიული (ოლიმპიზმი, მავნე ჩვევები) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები მრავალფეროვანია და იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

<u>სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლაში</u> ახალი ცოდნის კონსტრუირება <u>ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით</u>. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. სკოლას ისე აქვს კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განმსაზღვრელი თემა,/ თემატური ბლოკები, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების

შესაძლებლობა. სკოლის მიერ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ამ ყოველივეს უზრუნველსაყოფად სკოლას მიაჩნია, რომ რელევანტურია ისეთი აქტივობების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, როგორებიცაა: მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში კითხვა-პასუხი, გონებრივი იერიში, ვარაუდების ღრუბელი, ფილმის ჩვენება და განხილვა. ასევე სკოლა მოსწავლისათვის არაფორმალური განათლების შეთავაზებისას ყოველი ახალი საკითხის შემეცნებით ემყარება მისთვის არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს ხდის ახალს, რის უზრუნველყოფას იგი კვლავ პროექტებით სწავლებით გეგმავს. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტი და სხვა - ეს ყველაფერი ეხმარება სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრებების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრებს გააზრებული აქვთ თემატური დაგეგმვის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს კათედრებს ასევე აქვთ განხორციელებული სასკოლო პროექტები, რომელთა განხორციელების გამოცდილებას გამოიყენებენ მომავალი სასწავლო კურიკულუმის შემუშავებისას და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. კათედრებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ განაგრძონ და მეტი მრავალფეროვანი პროექტები დაგეგმონ და განახორციელონ იმგვარად, რომ ნაცნობ კონტექსტში მოხდეს ახალი ინფორმაციის მიწოდება, ნაცნობი თემატიკის ირგვლივ ახალი ცოდნის კონსტრუირება, თანამშრომლობის გაძლიერება ,სასკოლო საზოგადოების მეტი ჩართულობა, გამჭოლი კომპეტენციების და ღირებულებების განვითარება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს და საგნობრივი კურიკულუმების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავენ კონსტრუქტივიზმის ხუთივე პრინციპის დაცვით. წინარე ცოდნის გათვალისწინება ყველაზე ეფექტური გზაა ახალი ცოდნის დასაშენებლად. არსებულ ცოდნაზე ახლის დაშენებით, პედაგოგები ძველ ცოდნას განამტკიცებენ და ამით ახალ ცოდნას უფრო იოლად აღსაქმელს ხდიან. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა წარმოადგინეს ერთ-ერთი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის გზა (სასკოლო ფესტივალამდე მისვლის გზა), რაც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. ყოველივე ეს

ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯაროს სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი სწავლა–სწავლების მიზნები, რაც კურიკულუმის ჩარჩოში ამოიკითხება, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიებთან.
მათემატიკის VII, VIII, IX კლასების კურიკულუმებში ასახული კომპლექსური ყოფითი სიტუაციების კონტექსტს მოიცავს და მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას იძლევა.(ექვსი კომპონენტური უნარი) კერძოდ მე-8 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების „ატრაქციონის მაკეტი“ მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. ასევე სხვა კომპლექსური ბუნების დავალებებში სხვადასხვა კლასებისათვის. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ მოსწავლისათვის შეთავაზებული აქტივობები, და დავალებები უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებას, რაც მამოტივირებელია და გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის წახალისებას.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის საგნების სწავლის პროცესში კეთდება აქცენტი სწავლის სწავლაზე. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.
საბაზო საფეხურზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლა-სწავლების აქტივობები მიზნად ისახავს მოსწავლეთა მიერ სწავლის სხვადასხვა სტრატეგიის დაუფლებას. მასწავლებლები იყენებენ იმ რესურსებს, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები საბაზო საფეხურის ყველა კლასისთვის. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. სკოლის ახლად შემუშავებული კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. ცხადია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციას არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ დამატებით სხვა წყაროებიდანაც. (დეკლარაციული ცოდნა), სვამს და პასუხობს შეკითხვებს მასალასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ცოდნას სწავლის სტრატეგიების გამოყენებით გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით, მის ინტრუმენტალიზაციისა და გამოყენებით კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. სკოლა ფიქრობს, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებისათვის ეფექტური პრაქტიკაა დიორამების, პოსტერების, ბუკლეტების, კედლის გაზეთების შექმნა თუ პროექტების განხორციელება.
მათემატიკის კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. კერძოდ: "ატრაქციონების მაკეტის მომზადებისათვის მათემატიკური მოდელირება ცენტრული სიმეტრიით და მობრუნების კუთხით", "რეკრეაციული ზონის მოწყობა".

უცხოური ენების სწავლებისას მოსწავლემ ,მაგალითად, ტექსტის დამუშავებისას იცის, რა მოქმედებები განახორციელოს, როგორ წაიკითხოს, სად და როგორ მოძებნოს ახალი სიტყვები და ა.შ. პროცედურული ცოდნა არის ყველაფერი რაც კი ნასწავლი აქვს მოსწავლეს სწავლის სტრატეგიების შესახებ. პირობისეული ცოდნა კი მოითხოვს მოსწავლისგან ცოდნის მოქმედებაში გადატანას, მის ინსტრუმენტალიზაციას და გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. მოსწავლეს მოუწევს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობა. პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლეს მოუწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების, მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება, დააკავშირონ შინაარსი, საკითხი და პრობლემა ერთმანეთს. პედაგოგებმა ისაუბრეს მოსწავლეთა ნამუშევრების შედეგებზე დაყრდნობით, რამდენად უწყობს ხელს კომპლექსური ბუნების დავალება გამოცდილების მობილიზებითა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით გამოწვევების გამკლავებას და პრობლემის გადაჭრას. საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლა აცნობიერებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნის სწავლების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, სწორედ ის საკვანძო ასპექტები თუ სტრუქტურულ ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. იგი ყოველი განსაზღვრული თემით არის რა მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, უზრუნველყოფს სასწავლი მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. მიემართება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების გამომუშავებას და ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში და ქმნის მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. ამისათვის სკოლა გეგმავს, კურიკულუმში გაითვალისწინოს და შეიმუშაოს ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც მოახდენს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. რისთვისაც გარდა კომპლექსური დავალებების განხორციელებისა, გეგმავს პროექტით სწავლებას. საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ ჩატარებული „ვეფხისტყაოსანზე“ მიძღვნილი ლიტერატურული საღამო - „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.“ – სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფის კარგი გამოცდილებაა. შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლის ხედვები აღნიშნული საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობებით რეალიზების შემთხვევაში მოახდენს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. (უცხოური ენები).

საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგები პირად შეხვედრებსა და საგნობრივ ოქმებში აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას, დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით ,ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მოსწავლეებში გაიზარდოს გააზრების,

დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის საბაზო საფეხურის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) დაგეგმილია ისე, რომ კომპლექსური დავალებებით სწავლება შუალედურ მიზნებად არის მოაზრებული, შესაბამისად, გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში, როგორც საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, ასევე ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე. ეს ყოველივე კი თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ზემოთ აღნიშნული ოპერაციები აწარმოოს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები საბაზო საფეხურზე.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2022–2023);
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კათედრის მიერ შემოთავაზებული კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კონტექსტ-მაგალითები, რაც მოსწავლეს გაუადვილებს კონტექსტში დავალების არსის გააზრებას. სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისათვის პედაგოგები კლასის ყველა მოსწავლეს დაეხმარებიან კომპლექსური დავალების შესრულებაში და საჭიროების შემთხვევაში შეადგენენ მოდიფიცირებული დავალების პირობას. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზების შესაძლებლობა იკითხება პედაგოგებთან გასაუბრებისა და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან.

სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, მიუსადაგებენ სამიზნე ცნებას, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. ისმება საკვანძო შეკითხვები და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება მარტივიდან რთულისკენ, ნაცნობიდან უცნობისკენ განვითარების პრინციპით. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ, მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბაზო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობა ენიჭება მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; შესაბამისად ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. სკოლა აქვს გამოცდილება მოსწავლეების სოციალურ პროექტებში ჩართულობის, სადამრიგებლო საათების მიზნობრივად განხორციელების, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობ სხვადასხვა ღონისძიების მოწყობის. ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლაში მოქმედი წიგნის მოყვარულთა წრე, გარდა კითხვისა , რომელიც ხორციელდება თვეში ორჯერ ან სამჯერ, სარეკომენდაციო თემატიკიდან შერჩეულ საკითხებზეც მუშაობს. მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი, მათი განვითარების დონე და ინტერესების სფერო. მიუხედავად ამისა, კათედრა სამომავლოდ ხედავს საჭიროებას მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების მიზნით სასკოლო საზოგადოება უფრო გააქტიურდეს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლის პროცესში მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება : ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემები, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საბაზო საფეხურის (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, მათი მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების დროს მოსწავლეები დიდი ინტერესით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში, მათთვის ყველაზე სახალისო პროდუქტის შექმნაა, ასევე ხალისით ერთვებიან კომპლექსური დავალების განხორციელების დროს საინტერესო აქტივობებში, მსჯელობენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აცნობიერებენ სხვების პოზიციას და შესწავლილი საკითხიდან გამომდინარე გამოხატავენ ემპათიას სხვების მიმართ, თანაკლასელებთან ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უმკლავდებიან სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, პერსონალურ თუ სოციალურ ქცევებს შორის აკეთებენ ეთიკურ და კონსტრუქციულ არჩევანს. ვფიქრობ ამგვარი ქმედებები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რაც ვლინდება კომპლექსური დავალების განხორციელების დროს.

სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს და გაამრავალფეროვნოს სასწავლი პროცესი სხვა ტიპის არაფორმალური აქტივობებით და ამით ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თვითცნობიერების, თვითგამოხატვის, თვითრეგულაციის, სოციო-ემოციური და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კერძოდ, კათედრებზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარებით, მშობელი მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ როგორ მიმდინარეობს სწავლა/სწავლების პროცესი. შეფასების ჰოლისტურობის მხარდასაჭერად სკოლას აქვს ისეთი აქტივობები და მეთოდები შერჩეული, რომლებიც გულისხმობს თეორიული ცოდნის მიწოდებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებას; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი დავალებების გათვალისწინებას, ვერბალურ თუ წერილობით კომენტარებს , შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. კათედრა მომდევნო სასწავლო წლისათვის გეგმავს გაითვალისწინოს, რომ შეფასების სისტემა უფრო დასახვეწია და შესაქმნელია შეფასების რუბრიკები, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ფუნქციურ- კომპონენტურ უნარები. ამისათვის 2023-2024 სასწავლო წლისთვის მუშაობს სხვადასხვა დონის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების 5 დონის მიხედვით შექმნაზე, გეგმავს სოლო ტაქსონომიის გამოყენებას და ამის მიხედვით მოსწავლეების მხარდაჭერას სასწავლო პროცესის წარმართვაში.

საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ისინი ერკვევიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსში, თუმცა ჯერ არა აქვთ შექმნილი ყველა სავალდებულო თემისათვის შეფასების რუბრიკები. კათედრა მომდევნო სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს რუბრიკებს ყველა თემასთან მიმართებით, აწარმოებს მოსწავლეთა დაკვირვებას, დიაგნოსტიკური წერის ანალიზს.

სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მეტად დახვეწოს მოსწავლეთა შეფასება სადიაგნოსტიკო წერების ანალიზის საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლა საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დასტურია შეფასების სისტემის შემუშავებული მეთოდოლოგია. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ შეფასების კრიტერიუმებში უნდა აისახებოდეს მოსწავლეთა ძალისხმევა, პასუხისმგებლობა, ჩართულობა და გადმოცემის შესაძლებლობა, რათა მოსწავლესა და სასკოლო საზოგადოებას ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდოა. კერძოდ, მტკიცებულებად სკოლის მიერ წარმოდგენილია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რაც უნდა შეათანხმონ და დაამტკიცონ პედაგოგიურ საბჭოზე. კათედრაზე ამ ინდიკატორის უზრუნველსაყოფად ისინი მოსწავლეებს რთავენ შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, წინასწარ აცნობენ მათ მოსწავლეებს, რუბრიკებს აკრავენ საკლასო ოთახებში.

-საბაზო საფეხურზე მასწავლებელთა მიერ მათემატიკის კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხდება იმის მიხედვით თუ, რამდენად შეესაბამება შერჩეული ინსტრუმენტი თემის მიზნებს, მოსწავლის საჭიროებებს, სწავლა-სწავლების რესურსებს. ვფიქრობ, სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემა ვალიდურია სასწავლო მიზნებთან მიმართებაში. სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემა სანდოა, დავალების პირობები შესაბამისობაშია კრიტერიუმებთან.

საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან ინტერვიუდან და აგრეთვე მათ მიერ შექმნილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ ისეთი შეფასების კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლაში შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10- ქულიანი შეფასების სისტემა.

საზოგადოებრივი მეცნიერებების შემთხვევაში კათედრას აქვს შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გამოცდილება. ასევე, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს სასწავლო პროცესში გამოყენებული თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების სისტემა. მართალია მასწავლებლებს შეფასების რუბრიკები წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით აქვთ შექმნილი, მაგრამ გეგმავენ მომდევნო წლისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე იმუშაონ სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორებზე დაყრდნობით, ხოლო განმავითარებელი შეფასებები მოსწავლეებს მისცენ საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად ცნების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით.

ასევე ხდება ესთეტიკის კათედრაზე, სადაც მოსწავლეები თავად არიან ჩართულები შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მისი განუყოფელი ნაწილია. გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლას -

(ესთეტიკის კათედრას) აქვს მზაობა სამომავლოდ კიდევ უფრო მეტად დახვეწოს შეფასების სისტემა დანერგოს განმავითარებელი კომენტარის წერილობითი ფორმა და თითოეული თემის ფარგლებში შექმნას შეფასების რუბრიკა.

ფიზიკური აღზრდის საგანში აქამდე იყენებდნენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ შეფასებას. მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილია წერილობითი განმავითარებელი კომენტარებით მოსწავლეების შეფასება. სკოლას უკვე შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები. ჩანს მასწავლებლის მზაობა, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის ფიზიკური აღზრდის საგანში შეფასება იქნება სანდო, ობიექტური და გამჭირვალე. **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია.**

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო არ აქვს წარმოდგენილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტი, სადაც რეალურად იქნება ასახული მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი, ვინაიდან იგი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაცია იმისა, თუ რამდენად ასრულებს სკოლაში არსებული შეფასების სისტემა მოსწავლეთა მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. თუმცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ ისინი ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების საშუალებით საგნების მიხედვით თემის, თავის, სემესტრის ან საკითხის დასასრულს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით სკოლა აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, მაგალითად: მონაცემთა შეგროვების მიზნით იყენებენ ჩანაწერების დღიურს, რომელიც მასწავლებლებს ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა მხარდაჭერაში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებისას სკოლა გამოთქვამს მზაობას რომ ისინი მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის შექმნიან შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტს.

სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში ვერიფიკაციის მექანიზმების უზრუნველსაყოფად განსაზღვრულია 2023 წლის 29 თებერვლი.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია:

სკოლამ ვერიფიკაციის მექანიზმი შეიმუშაოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით .
სკოლა იცავს დოკუმენტების წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არქივში 3 წლის განმავლობაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2022–2023);
- "ხარისხის განვითარებისა და პროცესების მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის მიერ საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი მტკიცებულებებზე დაფუძნებით გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი საათობრივი ბადე. საგნობრივი პროგრამების შინაარსი, რაც გათვლილია მოსწავლეთა პიროვნული ზრდისთვის. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა ემსახურება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. ხოლო მოსწავლეთა შეფასება ხდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი კომენტარით. საგნობრივ კათედრებს შექმნილი აქვთ შეფასების კრიტერიუმები და იგი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით და სპეც. მასწავლებლის რეკომენდაციით მასწავლებლებს აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს უქმნის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს. მოსწავლეთა მცირერიცხოვნებიდან გამომდინარე სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო, მიმღებლობა და ღიაობა, ეს კი სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიულად განვითარების საშუალებას აძლევს. საბაზო საფეხურზე განსაკუთრებით აქტიურია კომუნიკაცია მშობლებთან, მათთან საუბარი ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და შედეგების გაუმჯობესებას. სკოლაში სასწავლო პროცესის მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოდ რეალიზებისათვის სკოლას ესახება კოლეგების ურთიერთანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის“ გამოყენებას ეფუძნება. ამ დროს ხდება ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი, ჯანსაღი კრიტიკა და ეფექტური უკუკავშირი, ასევე გამოცდილების გაზიარება და რეკომენდაციების გაცემა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლის მიერ მოსწავლის შედეგებზე დაკვირვებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში. საბაზო საფეხურზე პედაგოგები საუბრობენ, რომ გათვალისწინებულია ეფექტურად დაგეგმილი გაკვეთილები, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი სხვა ღონისძიებები, რომლებიც პოზიტიური დამოკიდებულების განმტკიცებას შეუწყობს ხელს. სკოლა კარგად აცნობიერებს, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და სკოლა ვალდებულია პროცესები წარმართოს მასზე

ორიენტირებულად. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო საგნობრივ პროექტებში, ისინი მუშაობენ როგორც გუნდურად ან წყვილებში, ასევე დამოუკიდებლადაც. ინფორმაციას მოიძიებენ სხვადასხვა ხერხით, მათ შორის ტექნოლოგიების გამოყენებით. სკოლაში პოზიტიური გარემო ხელს უწყობს მოსწავლეებს განახორციელონ მრავალფეროვანი დავალებები, რაც დაფუძნებულია თანამშრომლობაზე, ნდობასა და მიმღებლობაზე. მაგალითისათვის სკოლას მოჰყავს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის ისტორიის მასწავლებელთან ერთობლივი მუშაობა. მათ მიერ დედა ენის დღესთან დაკავშირებით ჩატარებული ღონისძიების პრეზენტაცია, რომლის მიზანი იყო 1978 წლის 14 აპრილს მომხდარი მოვლენების და ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის დაცვის ისტორიული მნიშვნელობის შემეცნება მოსწავლეთათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუს დროს გამოთქმული მოსაზრებები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სისტემატიურად ხდება კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა.

სკოლაში სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად, სასკოლო საზოგადოება სრულად ერთვება. თითოეული წევრი სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს პროცესებს, განსხვავებულად აფასებენ და მათი გადაჭრის განსხვავებულ გზას ხედავენ. თანამშრომლობა და გუნდურობა ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუს დროს გამოთქმული მოსაზრებები იძლევა იმის თქმის საშუალებას რომ სკოლაში უზრუნველყოფილია უსაფრთხოება, სწავლა სწავლების პროცესი და მისი მხარდაჭერა, ინტერპერსონალური და პროფესიულ ურთიერთობები, მართვის სტილი, ინსტიტუციურ გარემო, როგორც ავთენტური სივრცე სასკოლო საზოგადოებისათვის. პოზიტიური სასკოლო კლიმატი ძლიერ თანამშრომლობით კავშირს ამყარებს სასკოლო საზოგადოებას შორის, იყენებს გაზიარებულ ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლა იყენებს პოზიტიურ სასკოლო კლიმატის ფაქტორებს. კერძოდ, აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა.

პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად სკოლა გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას. კერძოდ, სამოქალაქო აქტივობებისა და პროექტების წახალისება მოსწავლეებში ძირითადი მორალური ფასეულობების დამკვიდრების მიზნით; ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებები; თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება; მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები და სხვა.

ეს აქტივობები ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. იგი ასახულია არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, ყველა ზემოთ მოცემული განზომილებების მიხედვით. მაგ: მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების
- სასკოლო პროექტებისა და ღონისძიების ამსახველი მასალები/პროდუქტები;
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში ვკითხულობთ შემდეგს: „სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.“ **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება. სკოლის ხარისხის მართვის დოკუმენტშიც ვკითხულობთ შემდეგს: „მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ“. მასწავლებლებთან გასაუბრებით ასევე დგინდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვას და სასკოლო საზოგადოების საჭიროებებზეა მიმართული. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში - კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში, რომ მონიტორინგი და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემის გადაჭრისთვის, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. იგივე დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც.

სკოლა, კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგის გზით, მიზნად ისახავს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრასა და რეკომენდაციების პაკეტის შემუშავებას, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ხდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სახის ინსტრუმენტს და სტრატეგიას მოსწავლეთა შესაფასებლად: მიმართავენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას, იყენებენ კომპლექსურ, თემის შემაჯამებელ და ყოველდღიურ საკლასო და საშინაო დავალებებს, ასევე მომავალშიც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება . ეს კი გვაძლევს იმისი თქმის შესაძლებლობას, რომ სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს და აღნიშნული პრაქტიკა მომავალშიც გაგრძელდება. სკოლამ წარმოადგინა მათ მიერ შექმნილ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების

მრავალფეროვან რუბრიკები, რომელთა დახმარებითაც ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება, რაც გვაძლევის იმის თქმის საშუალებას, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების, მათი მკვიდრი წარმოდგენების, თემატური შედეგების, კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებით, შეფასება მიზანმიმართულია 6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარის განვითარების ხელშეწყობაზე. დოკუმენტებში გაწერილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებაც ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება იმის შესაბამისად, რამდენად მოახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და საბაზო საფეხურის მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს, აკეთებენ სხვადასხვა ტიპის დავალებებს, წერენ ქვიზებს, ახდენენ პრეზენტირებას და ა.შ ეს ყველაფერი კი აძლევს მასწავლებელს საშუალებას უფრო მეტი გაიგოს მოსწავლის კოგნიტურ უნარებსა და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. სამომავლოდ ეს პრაქტიკა შენარჩუნდება. დამკვიდრებული პრაქტიკა იძლევა საფუძველს, დავასკვნათ რომ შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

საბაზო საფეხური მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ მასწავლებლები შეფასებისას ცდილობენ გაითვალისწინოს გარე ფაქტორები, რომელიც ახდენს გავლენას მოსწავლის შედეგებზე. ასევე ირკვევა და დოკუმენტაციიდანაც ჩანს, რომ პედაგოგიურ საბჭოზე და კათედრის სხდომებზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა, ეს კი იძლევა იმისი თქმის შესაძლებლობას, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა აღნიშნულ საკითხს. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

-

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ბრძანება N36 - სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება შემდეგი - სკოლას აქვს მზაობა შექმნას გარკვეული ტიპის მექანიზმი/საჭიროებათა პაკეტი, რომელიც ხელს შეუწყობს კურიკულუმის განვითარებას და მის მორგებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებზე. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის წარმოდგენილი ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ

კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება. სკოლას აქვს მზაობა, საჭიროებისამებრ დაგეგმოს და განახორციელოს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო ცვლილებები. **პირველადი ავტორიზაციის პროცესში ვერ ფასდება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ბრძანება N36 - სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- საბაზო საფეხური მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

--

16/10/2023
თარიღი